სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 28 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 158 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 158

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საბჭოს წევრთ რომ კვირას 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის საბჭოს წევრის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. (2—2)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია და საოლქო კომიტეტი აუწყებს ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. (4—4)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ელპიტე გიორგის ასული; ძმები ამბაკო და ბეგლარ მიხეილის ძენი ქართველიშვილები, რძლები თეო და ივდითი, ძმის შვილები შუშანიკა, ელენა, თამარა და მიშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალექსი მიხეილის ძის ქართველიშვილისას

რომელიც მოხდა აგარაკ წაღვერში. დაკრძალვა მოხდება ქალაქ სამტრედიაში, კვირას 28 ივლისს. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ნაშუადღევის 4 საათზე. (2—2)

გულ-დამწვარი ქმარი კოლია (აპოლონი) შვილი ირაკლი, მაზლი რამანი, რძალი ნინა, მაზლის შვილები ალექსანდრე და მარია, აუწყებენ ნათესავთ და ყველა ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას

მარია სტეფანეს ასულის დვალისას

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათ. დასაფლავება 28 ივლსის, გამოასვენებენ ამალღების ქ. № 13 დღის 9 საათ. დასაფლავება მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

მწუხარებასა შინა მყოფნი იოსებ გიორგის ძე მშვიდობაძე და ბაბილინე გირმანეს ასული მშვიდობაძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი ბიძის

ალექსი მიხეილის ძის ქართველიშვილისას

რომელიც მოხდა აგარაკ წაღვერში. დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში კვირას 28 ივლისს. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ნაშუადღევის 4 საათ. (1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ელენე და ვანო, შეშია, მ კრინე, ბაბუა როსტომი, მამიდები აგრაფინა, პატკულია და ევგენია ბერიძეები, ამინადარ, ფერვან, აკაკი და სარდიონ სანიკიძეები, სიმონ მინდაძე და ნათლია რახილ ხავთასის ასული ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათ დაკარგეს უსაყვარლესი პატარა

კ უ კ უ რ ი (გ რსევან)

გამოსვენეაა 28 ივლისს გორის ქ. № 14, დღისით კვირას 3 საათ. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

მოსამსახურენი თბილისის მომხმარებელ საზოგადოება „თვითდახმარების" (სამოპომოშჩ) აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს უდროოდ გარდაცვალებას გამგეობის წევრის

კონსტანტინე მოსეს ძე აგამიანცისას

გამოსვენება მიცვალებულის ბინიდან, მესამე მოლინის შესახვევი სახლი კოსტანოვისა. კვირას 28 ივლისს დილ. 10 საათ. სურფნისის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—1)

გურიის ცენტრალური კომიტეტი სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიისა ამით აუწყებს პარტიის წევრებს და თანამოაზრეებს, რომ 30 ივლის ქ. ოზურგეთში, ქალაქის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახალ ათონთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში მოკლულის კომიტეტის წევრის

ალექსანდრე (სანდრო) იესეს ძე კადეიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი; დედა ანუშკა; დები: ნადეჟდა, ნინა და თეკლე; ბიძები: მიხეილ და ანდრია კადეიშვილები, პლატონ და სამსონ ჟღენტინიები; სიძენი: გერმანე გოგიტიძე, შალვა ჭოჭუა და ნიკოლოზ დოლიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 ივლისს დილით სამშაბათს ქ. ოზურგეთში ქალაქის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, ახალ ათონთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში უდროვოთ დაკარგული, დაუვიწყარი და საყვარელი

ალექსანდრე (სანდრო) იესეს ძე კადეიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

## ერობის გარშემო

რევოლიუციამდე ჩვენი ქვეყანა მოკლებული იყო თვითმოქმედების ორგანოებს. ბიუროკრატიის წყალობით ჩვენი თავად-აზნაურობაც, არა ერთხელ კვერს უკრავდა მთავრობას ამ თვითმოქმედების ჩაკვლაში და ერობის მაგიერ, მაგალითად, დახმარებას ითხოვდა.

ამ მხრივ თვითმპყრობელობის მოამაგენი შინვე გვყავდა და ეს ერთი-ორათ აძნელებდა ბიუროკრატიის ლაგამის წინააღმდეგ ბრძოლას.

მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოების ყველა წრეებისთვის აშკარა შექნა, საჭიროება ერობის, თუმცა თვითეული მის ისეთ ტიპს იცავდა, როგორიც მის წოდებრივ ინტერესებს შეეფერებოდა.

ამ დავაში მოგვისწრო დიდმა რევოლიუციამ.

გადატრიალების დღიდან თვითმოქმედების გზა უკვე გახსნილი იყო. მაგრამ ახლა თვით რევოლიუციის ქარტეხილმა შეუძლებლათ გახადა ისე მალე და სწრაფათ ერობის შემოღება, როგორც ეს სასურველი და საჭირო იყო.

უკვე წელიწად ნახევარი გადის და თვითმართველობა მხოლოდ ქალაქებში გვაქვს. სოფელი, მაზრა ამ სიკეთეს მოკლებულია და იგი დღესაც უმთავრობო უდაბნოს ემსგავსება, სადაც ძალლი პატრონს ვერა სცნობს.

დემოკრატიას არ შეუძლია ძველი წესების თანახმად მართვა. თუნდაც მან ახალი კომისრების დაწესებით და მათთვის მილიციონერების მიცემით მოისურვოს წესიერების დამყარება სოფლად, ეს იქნება მხოლოდ დროებითი, წუთიერი, და არა ხანგრძლივი წესიერება. აღმშენებლობა სახელმწიფოსი მოითხოვს დემოკრატიისაგან, რაც შეიძლება მალე შემოღებას დემოკრატიული მართველობის ორგანოებისა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დღეს ამისთვის უფრო ცუდი პირობებია, ვინემ ამ რამდენიმე თვის წინეთ ან ვინემ გასულ წელს იყო.

რევოლიუციის თავქვე დაქანების ხანაში კიდევ უფრო ძნელია აღმშენებლობა დემოკრატიისთვის, ვინემ რევოლიუციის აღმოსვლის დროს.

დღეს რეაქციის ტალღები ანარქიის სახით ეხეთქებიან სოფელს, ხალხის დიდი ნაწილი სრულ აპატიას მოუცავს, მას თითქოს ენერგია გამოლევია და დროებით მაინც მიყუჩებულია.

მის ნაცვლად ზედა პირზე ამოცურებულან ყველა ბნელი ძალები, გამოსარჩენის მაძიებელნი, ხალხის შემავიწროებელნი, ძველი რეჟიმის მოტრფიალენი და ყველა ესენი ხომ შემოქმედებით ენერგიას კიდევ უფრო ახშობენ. ესენი აღმშენებლობის დაუძინებელი მტრები არიან.

და ასეთ პირობებში ჩვენ მაინც უნდა მთელი ჩვენი ენერგიით შევეცადოთ ამ დემოკრატიულ საფუძვლის ჩაყრას მომავალ სახელმწიფოებრიობისთვის.

ერობა; საყოველთაო არჩევნებზე აგებული, ეს მკვიდრი საძირკველია დემოკრატიზმის. პარლამენტი კი მისი გვირგვინია.

პირველის გარეშე—მეორე ჰაერში გამოკიდებული დარჩება, პირველი უმეორეოთ დაუმთავრებელი შენობა იქნება, რომელსაც სახურავი არა აქვს და ქარ წვიმის სათარეშოთ არის მინებებული. მაგრამ ამ შედარებით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ერობა და პარლამენტი, ორივე ერთნაირათ პოლიტიკური ბრძოლის და შემოქმედების ასპარეზი იყოს.

ცხადია, ორივე სახელმწიფოს შენობის ნაწილებია და მაშასადამე პოლიტიკური ორგანოები. მარა სახელმწიფოებრივ ფუნქციათა განაწილების გამო მაღლა ე. ი. პარლამენტში შემოკრებილია ერის პოლიტიკური ინტერესები. აქ პარტიათა ბრძოლა, პოლიტიკური კურსის შემუშავება უდიდესი მომენტია, ხოლო ერობაში პირიქით: პოლიტიკურათ იგი ცენტრს ემორჩილება, მის განკარგულებებს ასრულებს, ეკონომიურ სფეროში კი მას საკუთარი და ფართო ასპარეზი აქვს გახსნილი. იქ ამიტომ უდიდესათ ეკონომიური ორგანიზაციაა.

მისი ადმინისტრატიული უფლებანი და მოვალეობანი ვერ ფარავენ და ვერ ცვლიან ამ მთავარ ხაზს მისი მოქმედებისას.

ადგილობრივ ცხოვრების მოწყობა, გაშენება და გაუმჯობესება,—ეს მთავარი საზრუნავი რჩება ადგილობრივ თვითმმართველ ორგანიზაციების.

აქედან ისახება განსხვავება ჩვენს დამოკიდებულებაში ერობასთან და პარლამენტთან. უკანასკნელში ჩვენ პოლიტიკურ მომენტს ვაძლევთ უპირატესობას, პირველში კი—ეკონომიურ საქმიანობას.

ბევრნი გვისაყვედურებენ ჩვენ, ს.-დ., ყველგან და ყველაფერში პოლიტიკის გაბატონებას. რომ ჩვენ უმცირესობაში ვიყოთ და დადებითად სამოქმედოთ ხელი არ მიგვიწვდებოდეს, თავის თავად ცხადია მხოლოდ გაბატონებულთა შემოქმედების კრიტიკულად განხილვა დაგვრჩებოდა ხელთ. მაგრამ დღეს ხალხის ნდობისა და ვოტუმის წყალობით ჩვენ ხელფეხი გვეხსნება შემოქმედებითი მუშაობის საწარმოებლათ.

ამიტომ ჩვენი მოსამზადებელი მუშაობაც ერობის სფეროში ამ მთავარ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ერობაში ჩვენ გვინდა კარგი და გამოცდილი პრაქტიკული მოღვაწეები, ვისაც ამ ნიადაგზე ან მსგავს სფეროში უმუშავნია და რაიმე გამოცდილება შეუძენია, ან ვისაც უნარი აქვს ამ ნიადაგზე მუშაობის, თუნდაც ის პოლიტიკაში ცოტას მოიკოჭლებდეს.

არც ის არის აუცილებელი, რომ ჩვენ ეს საქმის ხალხი მხოლოდ პარტიის ვიწრო წრეებში ვეძიოთ. თანამგრძნობთა წრეები და ჩვენი მახლობელი დემოკრატიული პარტიათა ძალები ამ მხრივ უნდა იქნენ გამოყენებული.

პირველი ერობა საქართველოს რესპუბლიკის უნდა იქნეს ნაყოფი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების შემოქმედებისა.

შემდეგში, როცა ნიადაგი მომაგრდება, შეიძლება მივცეთ თავს ნება პარტიულ ბრძოლისა ამ სფეროშიაც, მაგრამ დღეს, როცა ერობის აშენება ეს სამკვდროსასიცოცხლო საკითხია მთელი ერის და რესპუბლიკის, უკანასკნელის ინტერესები პარტიის ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ. დღეს საქმის ხალხი ერობაში! ყველა მოსაქმე წრფელი დამოკრატის და თანამგრძნობის შემოკრება—ასეთი უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი.

## ისევ გადამიჯვნის შესახებ

არავინ ისე თავგამოდებით არ ესარჩლებოდა საერთო ფრონტის საჭიროებას, როგორც სოციალდემოკრატია. ჯერ რუსეთის მთლიანობას ვიცავდით, ხოლო როცა რუსეთის ჯარმა ჩვენი ქვეყანა მიატოვა და თითონ რუსეთი დაირღვა, ჩვენ ამიერ კავკასიის მთლიან რესპუბლიკის შექმნა და განმტკიცება დავისახეთ მიზნათ.

მაგრამ ამიერ-კავკასიის საერთო ფრონტიც დაირღვა და ამ დარღვევაში უმთავრესი დანაშაული მუსულმანთა გაბატონებულ კლასებს მიუძღვის. ეს ჯგუფები მოღალატურათ იცქირებოდენ ოსმალეთისაკენ და სეიმში ჯდომით თავის პოზიციას იმაგრებდენ. როგორც აზიელ პოლიტიკოსებს შეჰფეროდა, „მუსავატის" პარტია ყოველ წინადადებას და კანონპროექტს სეიმში ხმას აძლევდა, ხოლო სეიმს გარეთ კავკასიის მთლიანობას ძირს უთხრიდა.

ბოლოს აშკარა გახდა მუსულმანების ღალატი. მათ კარი გაუღეს ოსმალეთს და ამიერ-კავკასიაში შემოიყვანეს.

ჩვენც იძულებული გავხდით მომხდარ ფაქტისთვის ანგარიში გაგვეწია და სეიმიდან წასვლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია. აქ ჩვენ მივმართეთ გერმანიას და დახმარება ვსთხოვეთ. ამას მოითხოვდა ქართველ ხალხის საარსებო ინტერესები, ასეთი იყო ხალხის კანონიერათ გამოხატული სურვილიც.

რაკი ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, კიდეც უნდა ვცდილიყავით ეს დამოუკიდებლობა საქმეთ გვექცია. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა რეალურ მოსახლეობის პრინციპს დავყრდნობოდით და მუსულმანებით დასახლებულ ტერიტორიაზე ხელი აგვეღო და ადერბეჯანისათვის დაგვეთმო.

ყოველგვარი დემოკრატიული პრინციპი კარგია მაშინ, როცა მას შენი მეზობელიც ცნობს, მაგრამ როცა ეს პრინციპი ცალმხრივათ ხორციელდება, როცა შენი მეზობელი ამ პრინციპის ნიადაგზე შენს დაქცევას ცდილობს, შეუძლებელია თავდაცვის საქმე არ აწარმოვო და მოსულ მტერს ლაგამი არ ამოსდო.

ჩვენ ვიცით, რომ ბორჩალოს მაზრიდან „მუსავატის" პარტია ოსმალეთის ასკერების და მძარცველთა ბრბოების თანხლებით თფილისს უახლოვდებოდა. რომ გადაგვერჩინა საფრთხისაგან თფილისი და მთელი საქართველო, ჩვენ გერმანელ ჯარების დახმარებით ჩვენი ისტორიული საზღვრები აღვადგინეთ და ბორჩალოს მაზრა შემოვიერთეთ.

ეს რომ ადერბეიჯანს არ მოეწონებოდა, ჩვენ კარგათ ვიცოდით, მაგრამ რომელი დემოკრატი შეაქებს თავს ჰოტენტოტს, რომელიც ამბობს: თუ თავს შემაქებ, კარგს იზამ, ხოლო თუ მე შემქამ, უზნეობა იქნებაო.

მაგრამ თურმე, ჰოტენტოტების დაცვაც შესაძლებელი ყოფილა, ისიც სოციალისტურ თვალსაზრისით. ასეთს დაცვას სოციალისტური „ტრუდოვოე ზნამია" შესდგომია. ის მოწინავე წერილს უძღვნის გადამიჯვნის საკითხს და აცხადებს: საქართველოს მთავრობის ნაბიჯი ისტორიულ საზღვრების აღდგენისაკენ მიმართული დიდ ხიფათს უმზადებს დემოკრატიასო. ჰოი საშინელებავო, ჰგოდებს „ტრუდოვოე ზნამია": ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობა იარაღით ფიქრობს საზღვრების საკითხის გადაჭრასო. ეს ალბათ ერთგვარი გაფრთხილებაა „ზნამიას" მხრით.

„ზნამიამ" კარგათ იცის, რომ ახუური და ახალქალაქი ჯერ კიდევ ოსმალეთის ურდოების ხელშია, და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადერბეიჯანსაც, მაგრამ ის მაინც თავს იკატუნებს და მკითხველს ისე აჩვენებს საქმის ვითარებას, თითქოს საქართველოს მთავრობა აიძულებდეს სათნოებით შემკულ ადერბეიჯანს იარაღი აიღოს ხელში.

ადერბეიჯანის მოსარჩლე „სოციალისტური" გაზეთი მეორე ბრალდებასაც გვიყენებს თურმე ჩვენ შემოვიყვანეთ კავკასიაში ნემცები და ამით საბუთს ვაძლევთ ადერბეიჯანს ოსმალეთი მოიწვიოს. რად ავიწყდება „სოციალისტურ" გაზეთს ისტორია? ნუ თუ მან არ იცის, რომ ადერბეიჯანმა დიდი ხანია მოიწვია ოსმალეთი?

„ტრუდოვოე ზნამია"-ს რომ სინამდვილე აინტერესებდეს იმასაც აღნიშნავდა, რომ ჩვენმა მთავრობამ მოიწვია კულტურული სახელმწიფო—გერმანია ველურ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომ გერმანია სულაც არ ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში და რაც თავი და თავია აღნიშნული ნაბიჯი მთავრობამ გადადგა პარლამენტთან შეთანხმებით, ადერბეიჯანმა კი მაშინ მოიწვია ოსმალეთი, როცა ამიერ-კავკასია მთლიანი სახელმწიფო იყო და ამით პირდაპირ ღალატი ჩაიდინა.

და თუ მიუხედავათ ამ სა რუს მოხელეების ორგანო მაინც მუსულმან ბეგებს ესარჩლება, ეს გარემოება კიდევ უფრო გვიორკეცებს რწმენას, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სწორია.

ჩვენ ვიცავთ დემოკრატიას და ამიტომ ჩვენის ისტორიული საზღვრების აღდგენაზედაც ვიზრუნებთ.

## დანაშაული-სასჯელი და სოციალიზმი

(გაგრძელება).

„ცოცხალთა სასაფლაოები". — როზგები.—შეურაცმყოფი სამკელი, უნაყოფო შრომა.—დანაშაულობასთან ბრძოლაში დღევანდელი საზოგადოება დამარცხებულია.

ვოლტერმა სთქვა, რომ საშინელი ბოლო სჯობია დაუბოლოვებელ საშინელებასო.

მე მხედველობაში მაქვს დღევანდელი საპყრობილეები.

წარსულში საპყრობილეს დანიშნულება მეტად მარტივი იყო: მას უნდა შეენახა თავის მყრალ და ნესტიან კედლებში პატიმარი, სანამ ამ უკანასკნელს მთავრობა მოითხოვდა. ხშირად კი ის, ღვთისა და კაცისაგან დავიწყებული, იჯდა შიგ, ვიდრე ტანჯული სული არ ამოხდებოდა. საპყრობილეს სამაგიეროდ უნდა მიეზღო ტუსაღისთვის ჩადენილ უკანონო მოქმედებისათვის. მასვე შიის ზარი უნდა დაეცა სხვებისთვის, რომ ვერარავის გაებედა ისეთი საქმის ჩადენა.

ჯონ გოვარდს (გარდაიცვალა 1790 წელს, რომელმაც მრავალი საპყრობილე დაათვალიერა და რომელმაც თვით გამოსცადა ტუსაღის საშინელი ყოფა) უნახავს საპყრობილეები, სადაც არ იყო არც საავათმყოფო, არც სანეშტე, სადაც იატაკი ტალახითა და 1—2 გოჯი წყლით იყო დაფარული, შიგ ტუსაღები ეყარენ თურმე დაბორკილები, დაბმულები, ერთად, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, მშიერნი, ტიტველნი, ვირთხებისა და მკბენარების შესაჭმელათ. რაღა საკვირველია, თუ ასეთ მდგომარეობაში ტუსაღები ავათ ხდებოდენ ყველანაირი სახადებით და იხოცებოდენ.

ხშირად სახელმწიფო არც კი ჰკვებავდა ტუსაღებს და მათ თავი უნდა შეენახათ გამვლელ-გამომვლელთაგან მიწოდებულ მოწყალებით. ასე იყო, მაგალითად, რუსეთში. დაბორკილებს გადენდენ ქუჩებში და ისინიც „ღვთის გულისთვის" ითხოვდენ, როგორც ერთი მწერალი ამბობს: „Необычайно съ крикомъ поючи, въ разодранныхъ платьяхъ такихъ, что едва тѣла лоскутьями прикрыты".

აღარ ღირს ლაპარაკი იმაზე, თუ რა მხეცურად ეპყრობოდენ ტუსაღებს. ადამიანის ბოროტებას ხომ საზღვარი არ აქვს.

ასე იყო წინეთ. დღეს კი ბევრით წინ წავედით? საეჭოა. მიუხედავათ ამისა საპყრობილეების მოციქულები მაინც გაიძახიან, საპყრობილე დამნაშავეებს ასწორებს, ზრდის ზნეობრივათ და იურიდიულათო. (ე. ი. თუნდ ცუდი ზნე კიდეც შერჩეს, მაგრამ ის მოქმედებაში აღარ იჩენს თავსო).

მშვენივრათ დაახასიათა დღევანდელი საპყრობილე სოციალისტმა ფილიპო ტურატიმ თავის შესამჩნევ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა იტალიის პარლამენტში თუთხმეტი წლის წინათ.

ჩვენი საპყრობილეები—ჩვენი სამშობლოს შერცხვენაა, ამბობდა ის: იმაში გამოიხატება საზოგადოებრივი შურისძიება, სამაგიეროს მიზღვა, და მერე კიდევ საშინელი სისასტიკით. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენში მოისპო წამება, მაგრამ ჩვენი საპყრობილეები თავის თავათ წამებათა სისტემას წარმოადგენენ; ჩვენ ვიკვეხით იმით, რომ ჩვენი საზოგადო კოდექსიდან ამოვშალეთ სიკვდილით დასჯა, მაგრამ კატორღა-საპყრობილეებში ნელა ჩახრჩობას არა სჯობს ჯალათის ხელით სიკვდილი?

ჩვენ ამაყათ ვაცხადებთ, რომ ჩვენი საპყრობილეები ასწორებენ ბოროტმოქმედთ,—მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ისინი დამნაშავეთა მაკეთებელ ქარხნებს წარმოადგენენ, სკოლებს ბოროტ-მოქმედებისას...

ტუსაღი ციხის კარებში შესვლისთანავე ჰხედავს, რომ დავიწყებულია სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ყველა დადგენილებანი ჰიგიენის შესახებ. თავის მაგიდაზე ის ჰპოულობს ნოეს კიდობანს, ყველა ჯურის ბაღლინჯოებს, და კიდევ უარესს. ასეთია ის საპყრობილე, რომელიც 20—30 წლის ბინად ხდება ტუსაღისთვის... ჩასწერენ ტუსაღს „შემოსულთა" წიგნში როგორც უსულო საგანს თუ არა, მაშინვე გაჩხრეკენ მას, მოჰპარსვენ წვერსა და თმას, წაართმევენ საკუთარ ტანისამოსს და ჩააცმევენ საშინელ ლივრეას, რაც მას ყველა სხვა ტუსაღის ტყუპად ხდის ეს უდიდესი შეურაცხყოფაა უბედურის, დაცემულის და, ვინ იცის, იქნებ უდანაშაულოის! ასე სჩადიან, რომ ტუსაღმა იგრძნოს, რომ ის გარიყული, განწირული და ყველას სამასხაროა, რომ ის აღარ არის ადამიანი, პიროვნება. მას სახელსა და გვარსაც კი სტაცებენ, სტაცებენ ინდივიდუალობას, ყოველგვარ ნიშანს და ყველა ამის მაგიერ ახალ სამოსელზე აქარგავენ ნომერს, რომელიც დღეიდან მის სახელად ხდება.

„ოო, ბატონო მინისტრო, ჯიოვანი კოლიტო! იმის მაგიერ, რომ წარმოსთქვან თქვენი სახელი, რომელიც თქვენ დაგიტოვა თქვენმა წინაპრებმა, რომელსაც გიწოდებდა თქვენ მშობელი დედა, იმ სახელის მაგიერ, რომ თქვენი ამხანაგები მოგმართავდენ თქვენ საპყრობილის დორტუარში:

„869" ან „10—43"! —მაშინ მარტო ეს საკმარისი იქნებოდა, რომ სისხლი ადუ-

ღებულიყო თქვენ გულში და გეგრძნოთ, თუ რა ბარბაროსობას ჩადიხართ.

არავის აქვს უფლება ასეთი ტანჯვა-წვალება მიაყენოს ადამიანს! თუ საზოგადოება თავს იცავს, მას შეუძლია დაგვატუსაღოს, ციხეში დაგვალპოს, წაგვართვას ყველაფერი, რითაც სანუკვარი და ტკბილია სიცოცხლე, მაგრამ მას არ აქვს უფლება დაგვცინოს, დაგვამციროს, მოჰკლას ჩვენში თავმოყვარეობა, გრძნობა ზნეობრივი პიროვნებისა, არ აქვს უფლება შეგვარცხვინოს, გადაგვაქციოს უსახელო და უსახო საგნათ".

ამ შესანიშნავი ვექილის ეს გრძელი ტირადა იმისთვის მოვიყვანე, რომ მას ჩვენი დროსა და ქვეყნისთვისაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, თუმცა ის წარმოთქმული იქნა შორეულ იტალიაში და თუთხმეტი წლის წინ. ეს სიტყვა იმითაცაა საყურადღებო, რომ გვიჩვენებს თუ რა შაბლონიურია ბურჟუაზიული ქვეყნების პენიტენციარული სისტემა და მისი ნაყოფიც.

დღევანდელ საპყრობილეებში წამება არ არის ისე ტლანქი, როგორც საშუალო საუკუნოებში, მაგრამ ის არა ნაკლებ სასტიკია. ასეთია, მაგალითად ობერნ ს სისტემის საპყრობილე. მისი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იქ ტუსაღები მუდამ დუმილს უნდა იცავდენ. მათ ღამე ცალკე კამერებში სძინავთ; დილა ადრიან, აალაგებენ თავის საწნებს თუ არა, გადიან სამუშაოზე; მუშაობენ თავ-ჩაქინდრულნი; ამხანაგს ვერც ხმას გასცემენ, ვერც რამეს ანიშნებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ზურგზე ულმობელი ზედამხედველის მათრახი გაინავარდებს.

ძნელი წარმოსადგენია ადამიანისთვის უფრო დამტანჯველი სასჯელი.

რა საშინლათ უნდა მოქმედობდეს მთელი წელიწადებით დუმილი ადამიანის სულზე! აი რასა სწერს ერთ თავის რომანში („ელიზა") საფრანგეთის მწერალი ედმონ დე გონკური: „...ამბობდენ, რომ მუდამ დუმილი ტუსაღ ქალებს ყელით ავათმყოფობას უჩენს და ექიმობა ისაა, თუ კვირაობით მათ ეკლესიაში აგალობებენო...

თვით ელიზა გრძნობდა, რომ ყველა მისი სიტყვები სადღაც თავს იყრიდენ, სწვავდენ მას და აი-აი ამოხეთქდენ ყელიდან გააფთრებულ ყეფათ.

ასეც მოხდა. ერთ დღეს ელიზამ მორთო ველური ღრიალი, მას აღმოხდა ცოფიანი მონოლოგები... გავიდა ხანი; ელიზა გამოფხიზლდა, დაიბნიდა; მის თავის ქალაში გამეფდა რაღაც სიცარიელე, სიბნელე; ის დაჩლუნგდა, გაშეშდა პირუტყვს დაემზგავსა".

საფრანგეთში 1901 წ. თოთხმეტ ათასჯერ დაუსჯიათ ტუსაღები დისციპლინარული წესით დუმილის დარღვევისათვის. 1904 წ. ქ. ფლორენციაში, წმ. ტერეზას საპყრობილეში, თურმე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ამ ნიადაგზე პოლიციასა და ტუსაღებს შორის, რომელნიც იბრძოდენ სკამებით, მაგიდებით, აგურებით.

ინგლისში ტუსაღების „გასასწორებლათ"-გამოგონილი ყოფილა რამდენიმე სახის უნაყოფო შრომა, მაგ. ასეთი: მზეზე გაამწკრივებენ ტუსაღებს; მათ ფეხებთან აქვთ ზარბაზნის ყუმბარები; დაჰკრავს დოლი—ტუსაღები ნელა დაიხრებიან; კიდევ დაჰკრავს დოლი—ტუსაღები აიღებენ ყუმბარებს და თავზე მაღლა ასწევენ; კვლავ დაუკრავს—ტუსაღები ნელა იხრებიან და ყუმბარებს მიწაზე სდებენ.

ვინ იცის, რამდენჯერ უნდა გაიმეორონ ასეთი „ვარჯიშობა".

გასწორებაა ეს თუ დაცინვა!

აი თუ გნებავთ ნიმუში ადამიანის უგულობისა.

აი სიზიფის ტანჯვა. აი საუკეთესო საშუალება ადამიანის გასაპირუტყვებლათ.

რუსეთის სასჯელთა სისტემაში იყო შეურაცხყოფელი საჯაროთ გატიტვლება, მასხარას ტანისამოსში გამოწყობა, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა (რომელიც დესპოტიურ რუსეთში 1880 წ. გაუქმდა და საფრანგეთში კი დღეს მოითხოვენ თურმე მის შემოღებას), დასახიჩრება, ხელის, ფეხის და ენის მოჭრა, ათასნაირი მათრახები, წკეპლები, როზგები და სხ., რომელთა სახელიც კი არ არის მგონი ქართულ ენაზე.

თუ სადმე შემთხვევით რამე ასეთი მარგალიტი გამორჩათ, იმის შემოღებას სცდილობენ, მაზე ოცნებობენ.

„ჩვენ მოვითხოვთ სასტიკ დანაშაულის ჩამდენთა როზგებით დასჯას, ამით ჩვენ ნამდვილ კეთილშობილურ სამსახურს გავუწევთ ადამიანობასა და კულტურას.. მხეცური დანაშაულისთვის—მხეცური სასჯელი"—ასე ლაპარაკობდა 1900 წ. გერმანიის რეიხსტაგში დეპუტატი ერტელი (მ გერნეტი).

ამერიკაში, მიჩიგანის შტატში შემოუღიათ დამნაშავეთა კასტრაცია, რომ უკანასკნელთ ჩამომავლობა არ ეყოლოს...

კიდევ ახალი სასჯელის გამოგონება თითქო შეუძლებელია: ადამიანის გონება მახვილობასაც აქვს თავისი საზღვარი.

მაგრამ გველეშაპი ცოცხალია, დანაშაულობა არ კლებულობს, პირიქით იზრდება და მასთან ბრძოლაში დღევანდელი საზოგადოება დამარცხებულია.

აი კიდევ საყურადღებო ციფრები:

1882 წლიდან 1896 წლამდე მცხოვრებთა რიცხვს გერმანიაში უმატია 16 პროცენტით.

ამავე დროს განმავლობაში დამნაშავეთა რიცხვს უმატია 39 პროცენტით.

პირველჯერ დასჯილთა რიცხვი გაზრდილა 13 პროცენტით.

| | | |
|---|---|---|
| ორჯერ დასჯ. რიცხვი გაზრ. | 98 | პროც. |
| 3—5 ჯერ „ „ „ | 132 | — |
| 6—7 ჯერ „ „ „ | 277 | — |

მომაკვდინებელი ცხრილია!

აქედან დასკვნა: ვერც გილიოტინის მანქანა და ამერიკული ელექტრონის სავარძლები, ვერც კატორღა საპყრობილეები, ვერც როზგი და მათრახები ვერ მოსპობენ დანაშაულობას.

დღევანდელი საზოგადოებაც გრძნობს ამას, მაგრამ ბოროტების ფესვებთან ბრძოლა მას არ ძალუძს:

ეს საკუთარი არსებობისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა იქნებოდა.

ალფა ცისკარიძე.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

27 ივლისი.

**ბერლინი.** ალბერთან ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელების იერიში და წამოვიყვანეთ 70 ტყვე მდ. ენსა და მარნას შუა მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ. მდ. ურკის ორივე მხარეს ბრძოლა გაგრძელდა დღამებამდე. აქ ჩვენ გავრეკეთ მტერი ურში ლე-შატომდე. ორუდის აღმოსავლეთით და მდ. ურკის ჩრდილოეთით ჩვენ უკუ ვაქციეთ მტერი. ვილსელის სამხრეთ-დასავლეთით რისსის ტყეში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. რეიმსის სამხრეთით ჩვენ გავწმინდეთ ტყით მისილი ადგილები და მოვიგერიეთ ფრანგთა თეთრი და შავი ჯარების იერიშები. შამპანში მტერმა იერიშები მოიტანა სიუპის და სუენის ველში.

**ვენა.** კანოვასთან მტრის შემოტევა უშედეგო იყო. ალბანიაში კლუსისა და ზღვას შუა ჩვენ წინ წავიწიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ? ღვის და იორდანეს ნაპირად საარტილერიო სროლა იყო.

**ბერლინი.** ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** მ. ურკას სამხრეთით წარსული დღის განმავლობაში საარტილერიო სროლა იყო. ქვეით ჯარს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მარნის ჩრდილო ნაპირად საღამოს ფრანგებმა დაიკავეს ვეილი და სავარდის ფერმა და მტერს უკან დაახევიეს. ივლისის 25 ფრანგებმა წაიყვანეს ტყვედ 700 კაცი შამპანის ფრონტზე ფრანგებმა მტერი დაამარცხეს. უკანასკნელი ოპერაციების დროს ფრანგებმა წამოიყვანეს 1100-ზე მეტი ტყვე, 200 ტყვიისმფრქვეველი და 7 ზარბაზანი.

**მოსკოვი.** ბაქოს ფრონტზე საბჭოს ჯარებმა 20 ივლისს დასტოვეს ქალაქი შემახა.

# უკანასკნელი ცნობები

**საქართველოს სამხედრო გზაზე.**

ჩვენმა დელეგატებმა თერგის მთავრობას ნ. ჟორდანიას ხელმოწერილი ულტიმატუმი წარუდგინეს, სადაც მთავარი იყო შემდეგი პუნქტები: 1) დაუყონებლივ ტყვეების განთავისუფლება, 2) აჯანყებით გამოწვეული ზარალის აღდგენა და ნაძარცვი ქონების დაბრუნება. ულტიმატუმის ვადა გადიოდა 25 ივლისს დღის 12 საათზე. ჩვენი ჯარი მზათ იყო საბრძოლველათ, რომ მთავრობის მოთხოვნილება დაეცვა, მაგრამ სანამ ვადა გავიდოდა, თერგის მთავრობამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადა. დღის 2 საათზე კავკავიდან ტუსაღები გამოუშვეს. ზარალის გამომკვლევი კომისია კავკავში გაემგზავრა. ჩვენი მხრით კომისიაში შევიდნენ გზათა მიმოსვლის მინისტრი ლორთქიფანიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მახარაძე. ჩვენი ჯარი ლარსთან დგას.

კ ა ვ კ ა ვ ი.

როგორც სარწმუნო პირები იუწყებიან ყაზახებმა დაიკავეს სად. პრახლადნაია. დაიღუპა 500 მდე წითელი არმიელი. კავკავში უნდა მომხდარიყო თერგის ოლქის საბჭოს სხდომა. ყაზახების, ოსებისა და ჩეჩნების წარმომადგენლები არ გამოცხადდენ, რისთვისაც კრება არ შედგა.

**სოხუმის ოლქი.**

საქართველო ეროვნულ საბჭოს სოხუმის ოლქიდან დეპეშები მოუვიდა სადაც აღნიშნულია, რომ სოხუმის ოლქში სიმშვიდის დასამყარებლათ აუცილებელი საჭიროა დამფუძნებელი კრების ცნობარებით მოწვევაო.

ბ ა ღ დ ა დ ი.

იარაღის აყრა გრძელდება. ? ალწევიკები სოფ. უხუთს აფარებენ თავს; ჩეჩნები ზარბაზნებს უშენენ.

ს ა ჩ ხ ე რ ე

რაზმის უფროსი იმხნელი სამხედრო მინისტრს დეპეშით ატყობინებს: დღეს, შუადღის 4 საათზე, 3 საათის ოსებთან ბრძოლის შემდეგ, ჩვენი რაზმის ნაწილებმა აიღეს სოფ. ტერევი.

ქ უ თ ა ი ს ი.

გენ. სუმბათაშვილი სამხედრო მინისტრს დეპეშით ატყობინებს: ოსეთის სამხედრო გზაზე წუხელ ღამით ჩვენ ავიღეთ სოფლები: ნამახვანი, ვისატი, ნასოფლის სერი და კანარის სერი. ჩვენ მოგვიკლეს 1 ჯარისკაცი და დაგვიჭრეს 3. ბაღდადის რაიონში ცხარე ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკები დავამარცხეთ. მეთაურები დავატყვევეთ. ტყვეობიდან დავიხსენით 3 ჩვენი აფიცერი და 2 ჯარისკაცი. წავართვით 300 ვინტოვკა და 8,000 პატრონა. ს. უხუთიდან 140 ახალგაზრდა ჯარისკაცი წამოვიყვანეთ. ფრონტის სხვა ნაწილებში მდგომარეობა ჯერ ჯერობით უცვლელია.

# მოვალეობის ასრულება

სომხის ბურჟუაზიის დამცველ რუსულ „კავკაზსკოე სლოვო"-ში მწერალს ლევ. ყიფიანს ვალად აქვს წერილების წერა.

რამდენათაც ჩვენ დავკვირვებივართ ლევ. ყიფიანის სამწერლო მოღვაწეობას, ის მოვალეობას პირნათლად ასრულებს!

თფილისიდან ერევანში სომეხთა მთავრობის და ეროვნულ საბჭოს გადაბარგების დროს საქართველოს მთავრობამ ვერ გამოიჩინა თურმე ზრდილობა, სტუმართ მოყვარეობა.

ლევ ყიფიანი აღნიშნავს ამ სამწუხარო მოვლენას მთავრობას თითქოს ბოდიშს ჰხდის, „კარგის მთქმელს კარგის გამგონე უნდათ"—ისე გამოუდის: მთავრობა, უეჭველია ყოველგვარ ზომებს მიიღებდა, მაგრამ ამსრულებელი ხალხი არ ვარგაო.

ერთი წინადადება რომ ს ქართველოს მთავრობის სასარგებლოთაა დაწერილი, ათი—მის საზარალოთაა.

„რატომ მოხდა, რომ ადერბეიჯანი ზრდილობის უმაღლეს საფეხურზე მდგომი აღმოჩნდა სომეხთა ეროვნულ საბჭოს მიმართ და ჩვენ არა?

„რისთვის შეეგებენ თათარი გლეხები გამვლელთ მუსიკითაც კი?

„რისთვის მოუმზადა ადერბეიჯანის მთავრობამ სომხებს ყაზახში ღამის გასათევი და ვახშამი?

„რისთვის შეეგება ადერბეიჯანი გამვლელთ თავის საზღვარზე, გუბერნატორი და კომენდანტი რომ გამოუგზავნა?

„იმიტომ, რომ ჩვენს მეზობლებს კიდევ შერჩათ დაუჩლუნგებელი ელემენტარული გრძნობა სტუმართ-მოყვარეობისა, მოვალეობის და პასუხისმგებლობის შეგნება ყველა მეზობელთა საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

„ჩვენ კი ეგეთი გრძნობა ხშირად გვიჩლუნგდება ავადმყოფი ნაციონალისტური გრძნობის სასარგებლოთ".

ასე დააყენა საკითხი ბ-ნმა ლევ. ყიფიანმა სტუმართმოყვარეობისა და ზრდილობის შესახებ.

და გადასჭრა ის ადერბეიჯანელების სასარგებლოთ. სომეხთა მიმართ ადერბეიჯანელი თათრები და ოსმალები უფრო ზრდილნი, სტუმართ-მოყვარენი აღმოჩნდენ!

უცხო ვინმე რომ სწერდეს ლევ. ყიფიანის მსგავსათ, ჩვენ არ გაგვიკვირდებოდა,—„არ ცოდნა არ ცოდვააო", იტყვიან, მაგრამ როცა ლევ. ყიფიანი, საქმესთან დაახლოვებით გაცნობილი კაცი სწერს, ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი კითხვა არ მივსცეთ თავს: ნუ თუ „მოვალეობის ასრულების" დროს ადამიანი უნდა დაბრმავდეს?

რას ხედავს მაგ, ლევ. ყიფიანი საჩოთირო საერთოდ სომხის ხალხისთვის იმ თვალთმაქცურ შეხვედრაში ყაზახ-აქსტაფაში რომ მოხდა?

ასე თვალთმაქცურათ თუ ვერ გააცილა ჩვენმა მთავრობამ სომეხთა ეროვნული საბჭო, ამით დააკლდა რაიმე საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ სომხობას?

ლევ. ყიფიანი ზრდილობაზე დაგვიწყებს ლაპარაკს, მაგრამ ეს ხომ შედარებითი შემეცნებაა?..

სომხის „დაშნაკცუტიუნი" და თათრების „მუსავატი" მუდამ ზრდილობიანათ ეპყრობოდენ ერთმანეთს, ძმობა-ერთობა-თანასწორობაზე ფიცულობდენ, ერთმანეთს პირში ელაქუცებოდენ, ზურგს უკან ერთმანეთს სამარეს უთხრიდენ..

ზრდილობიანი და თავაზიანი შეხვედრის შემდეგ „დაშნაკცუტუნი" ერევანში მიდიოდა თათრების წინააღმდეგ სომხების ასამხედრებლათ, „მუსავატი"—განჯაში—სომხების წინააღმდეგ თათრების ასამხედრებლათ!..

შედეგი: იღვრებოდა და იღვრება ძმათა სისხლი!

სომეხ და თათარ ნაციონალისტებს ეგეთი მოპყრობა ზრდილობათ, თავაზიანობათ მიაჩნდათ!..

ჩვენ დიდი ხანია მათვე დავულოცეთ ასეთი ზრდილობა. თვალთმაქცობას ჩვენ არ ვეწევით!

შეიძლება საქართველოს მთავრობის მხრით ჰქონდა ადგილი არა სათანადო მოპყრობას სომეხთა ეროვნულ საბჭოსადმი, ამის აღნიშვნა, მითითება შეიძლებოდა, მაგრამ სულ სხვა სუნი უდის ამ გვარ შენიშვნას, როცა მას უპირდაპირებენ ადერბეიჯანის მთავრობის და ოსმალთა აგენტების მოპყრობას!

ყურადღების ღირსია სად უფრო კარგათ ეპყრობიან სომხობას საერთოდ—საქართველოში თუ ადერბეიჯანში.

ლევ. ყიფიანისთვის, „კავკაზსკოე სლოვო"-სთვის და სხვათათვის კი—უფრო საყურადღებო ყოფილა სად უფრო თვალთმაქცობენ..

# ახალი ამბები

**ქართული ენა ფოსტა-ტელეგრაფში.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფში 1 აგვისტოდან დეპეშებისა და სხვა კორესპონდენციების მიღება ქართულ ენაზე უნდა მოხდეს.

◆ **იუსტიციის სამინისტროში.** ნაფიცი ვექილი გ. თ. ჟორდანია დაინიშნა იუსტიციის სამინისტროს იურის-კონსულტად, ბ. მიხ ავალიანი—იმავ სამინისტროს საქმის მწარმოებლის თანამდებობის ასასრულებლად. იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად ის პირნი, ვინც უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში საპატიო მომრიგებელ მოსამართლებად ირიცხებოდენ თფილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოთა ოლქებში დროებით რჩებიან ხსენებულ თანამდებობაზე ამიერიდანაც, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდებოდეს რეფორმა მომრიგებელ სასამართლოს ინსტიტუტისა.

◆ **გარნიზონის უფროსმა** დაატუსაღა: 1) სასურსათო სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებული რაზმის ჯარისკაცი მერი-მერი სიმონი 5 დღით; 2) ქართველი საპიორთა ბათალიონის ჯარისკაცი ივ. ბენდიანიძე და პავლე ყიფიანი ხარისა და ხბოს მოპარვისათვის ციხეში ჩასვა საქმის გამორკვევამდე, 3) ცხენოსანთა განსაკუთრებული რაზმის ჯარისკაცი აკაკი სარჩიმელია შვრიის მოპარვისათვის 4) სომხის ეროვნულ საბჭოს ჯარისკაცი არაქელ თომასოვი—5) სასურსათო სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის ჯარის კაცი ჯანიაშვილი 3 დღით. 6) პრაპორგანოვი, სიმთვრალის დროს უწესობის ჩადენისათვის 14 დღით. 7) ჯარისკაცი ნიკ გვათუა სახაზინო ქონების ქურდობისათვის. 8) ბათუმის პარტიზანული რაზმის ჯარისკაცი მიკირტიჩევი, აკოპოვი და კორკატაძე.

◆ **გერმანიასა და საქართველოს შორის** საქონლის გაცვლა-გამოცვლის მომწესრიგებელ კომისიაში დაინიშნა პეტრე სურგულაძე.

◆ **ბეჭვდითი საქმის მუშათა კრება.** დღეს, 28 ივლის, დილის 10 ს. სახელოსნო კლუბში (მ ხეილის ქ. № 66, მუშათა კლუბის პირდაპირ) დანიშნულია გაგრძელება ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრთა საერთო კრებისა, განსახილველია შემდეგი კითხვები; 1) ყოველთვიური საწევრო გადასახადების გადიდება, 2) ს. ვ. დამკომრის განცხადების შესახებ. 3) მიმდინარე საქმეები.

◆ **სასურსათო სამინისტრომ** ხელშეკრულობა დასდო ადერბეიჯანის ზოგიერთ პურის ჰქონეებთან—პურის შაქარზე, ჩაიზე და სხვა საქონელზე გაცვლის შესახებ. გაცვლა მოხდება ახლო მომავალში. პური პირველათ გაეგზავნება დამშეულ ადგილებს.

◆ **დუშეთის მაზრაში აჯანყების** საქმის გამოსაძიებლათ პ. მ. კახიანმა შეადგინა შტატი და მოიწვია თანამშრომლებათ შემდეგი პირნი: გომართელი, ვაჩნაძე, არსენიშვილი და კობიევი. დღეს კახიანი თავისი თანამშრომლებით დუშეთში გაემგზავრება. პ. კახიანი სთხოვს ყველას, ვინც რამე იცის დუშეთის აჯანყების შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით: დუშეთი, მომრიგებელი მოსამართლის კამერა.

◆ **გაზეთის გამოცემა სოფლისთვის.** თფილისის ერ. კომიტეტთან არსებულ სასოფლო კომისიამ დაადგინა გამოსცეს სოფლელებისთვის გაზეთი. არჩეულ იქნა კომისია, რომელიც მიაწვდის სოფელს გაზეთსა და ლიტერატურას.

◆ **სწავლის დაწყება** სასწავლო წელი ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყება მიმდინარე წლის 20 სექტემბერს და გაგრძელდება 1919 წლის 20 ივლისამდე.

◆ **გაძარცვა.** 25 ივლისს ღამის 12 საათზე ვერის ხიდთან ბოროტ გამზრახველებმა ჯარისკაცების ფორმაში გაძარცვეს ა. ჩახავა და ვ. სიხარულიძე. წაიღეს 865 მანეთი ფულათ და საქონლით. 26 ივლისს პოდპ. ალექსეევის ბინიდან (მიხეილის ქუჩა) წაიღეს 11 ათას მანეთად ღირებული საქონელი.

◆ **ქართველ გერმანელთა** კულტურული საზოგადოების წევრობა მოვალეობაა ყოველი ქართველი ინტელიგენტისა. საჭიროა საზოგადოების გაძლიერება წევრთა სიმრავლით და ნივთიერად. ვისაც სურს წევრობა და ჯერ კიდევ არ ჩაწერილა, შეუძლია ამავე ჩაეწეროს ხსენებულ საზოგადოებაში თამარ ჯავრიშვილთან (ურელინის ქუჩა 11, საქ. ეროვნულ საბჭოს ქონებათა სამმართველოში) 9 საათიდან 3-მდე ანდა ადგილობრივ გერმანელთა ეროვნ. საბჭოში (კიროჩნის ქუჩა 25) დილის 10—12-მდე და საღამოს 6—8-მდე.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში ქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან მოიყვანეს 8 ხოლერით და 7 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი, საეჭვო განყოფილებიდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 4, გადაიცვალა 9 კაცი, მორჩა 18 კაცი, 25 ივლისს საავადმყოფოში იყო 166 ხოლერით ავადმყოფი და 25 ხოლერის ნიშნებით.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** განზრახული აქვს მოახდინოს საქართველოს ადმინისტრატიული გადამიჯვნა. მოსალოდნელია ეხლანდელი მაზრები კიდევ უფრო დანაწილდეს, გუბერნიის კომისარის თანამდებობა კი სრულებით გაუქმდეს.

◆ **შემოწირულება.** გურიის დამხმარე კომიტეტმა მიიღო ს. დ. მ. პ. კოლექტივის მეთაურობით შეგროვილი ს. დიდ ჯიხაიშში 450 მან.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა საქველმოქმედო მიზნით.** დღეს, 28 ივლისს, მეორე ქართულ კლუბში (მიხეილის პრ.) გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა საინტერესო პროგრამით: ქართული წარმოდგენა, სადღესო კუპლეტები, ევროპიული ცეკვა, ლეკური, უზუნდარა, სინემატოგრაფი, საბავშვო, გასართობები და სხვ 10 პროცენტი შემოსავლიდან გადაიდება ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ. დასაწყისი საღამოს 5 ს. ახალი დროით.

◆ **სეირნობა.** დღეს, 28 ივლისს, ვერის საქალაქო პარკში ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ მ. კავსაძის ლოტბარობით გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა-კონცერტი. შემოსავლის 25 პროცენტი გადაიდება მე 4—6 რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის სასარგებლოდ.

**კრებები და მიტინგები.**

— სახალხო გვარდიის სამედიკო-სასანიტარო ბინაზე (სასახლეში) 28 ივლისს დანიშნულია საზოგადო კრება სოც-დემ. სამედიკო პერსონალისა განსახილველია შემდეგი: დროებითი ბიუროს მოხსენება, მუდმივი გამგეობის არჩევა, მიმდინარე საკითხები. კრება გაიხსნება საღამოს 6 საათზე შესავალი შუა სადარბაზო კარებიდან.

— 28 ივლისს, კვირას, საღამოს 5 საათზე ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია საქართველოს მოხელეთა კავშირის საგანგებო საზოგადო კრება.

დ ი დ უ ბ ე.

22 ივლისს საღამოს 6 საათზედ შესდგა დიდუბის სამოქალაქო კომიტეტის სხდომა ამხ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით, რომელზედაც იქნა გარჩეული ნიხრი. მისი ცხოვრებაში გატარება და ბრძოლა სპეკულიანტებთან, მილიციის დამოკიდებულება სამოქალაქო კომიტეტთან. ზოგიერთი ამხანაგები ამ ბოლო გამოსვლებით ანარქიულ მიდრეკილებას ხელს უწყობენ. როდესაც ნიხრის ცხოვრებაში გატარებას შეეხნენ განოევი, გრავიჩი და ზოგიერთი მათი ამყოლნი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედოთ და არაფერი საერთო და შეკავშირებული მუშაობა კომისარიატთან არ უნდა ვიქონიოთო. მეორე ნაწილმა ამის წინააღმდეგ მოუწოდა კრებას, რომ ასეთი მუშაობა ყოვლად შეუძლებელია, ჩვენ უნდა მოვიწვიოთ შეერთებული კრება როგორც კომისარიატის წევრებისა, ისე მოქალაქეებისა. გამოვიმუშავოთ ერთნაირი გეგმა და ასე ვიმუშაოთო.

ასეთი წინადადება კრებამ უარყო 6 ხმითა, მომხრე იყო 5. ასე რომ სამოქალაქო კომიტეტი, რომელიც დღემდის მუშაობდა შეთანხმებით, დღეიდან ასეთ მუშაობას ზოგიერთი პირის წყალობით, უარყოფს, რაიცა არ არის დასაშვები ამხანაგების მხრივ, ასეთ მოქმედებას საჭიროა შეგნებულმა ამხ. ყურადღება მიაქციონ,

დამსწრე.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

**26 ივლისის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.**

მდივანი აქვეყნებს სხვადასხვა კომისიებში გადასაცემ კანონ პროექტებს, საბჭომ დაამტკიცა წინა სხდომებზე მიღებული კანონ პროექტები საბოლოო რედაქციით.

საბჭომ მიიღო აგრეთვე იურიდიული კომისიის მიერ განხილული და მოწონებული შემდეგი კანონ-პროექტი: გადაეცეს ყველა გამიჯნული დაწესებულებები მიწათ მოქმედების სამინისტროს; ხოლო თფილისის მიწათ მზომელთა სასწავლებელი—სახალხო განათლების სამინისტროს მთელი მათი ინვენტარით და კრედიტებით... იუსტიციის მინისტრის ... აღრიცხვით.

მცირე კამათის შემდეგ საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა მთავრობის ხარჯი 7 მილიონი მანეთი იმ ათი მილიონიანი თავისუფალი თანხიდან, რომელიც დაარსებულ იყო სეიმის არსებობის დროს მთავრობის განკარგულებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კონტრ-რევოლიუციის, სპეკულიაციის და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად განსაკუთრებული რაზმის დაარსების შესახებ კ. საბახტარაშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი რაზმის დაარსება გამოწვეულია არა ნორმალური პირობებით და ის იქნება დროებით—6 თვით.

რ. გაბაშვილი მოითხოვს კანონ-პროექტის სახელწოდების შეცვლას, რადგანაც სახელი შინაარსს არ შეეფერებაო. ორატორი წინააღმდეგია აგრეთვე რაზმის ინსტრუქციის მესამე მუხლის, რომელიც ამბობს, რომ რაზმის უფროსს და მის თანაშემწეებს უფლება ექნებათ კერძო პირების დაპატიმრების და ჩხრეკის—ქაღალდების წართმევისო, ის მოითხოვს კანონ-პროექტის მიღება საბჭომ გადადვას მანამდი, სანამ ინსტრუქციას რაზმისას განიხილავდეს იურიდიული კომისია, რომელსაც უნდა გადაეცეს ის შესასწორებლათ.

ნ. რამიშვილი ამბობს, რომ რაზმი, რომელიც არსდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არის განსაკუთრებული ამიტომ მისი ფუნქციებიც განსაკუთრებული იქნება. სრულიად შეეფერება რაზმის დაარსების მიზანს სახელი: რაზმი კონტრ-რევოლიუციასა, სპეკულიაციასა და ძარცვასთან საბრძოლველად. რაც შეეხება ინსტრუქციის შესწორება შემუშავებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის საქმეა. რაზმის უფროსი და მისი თანაშემწეები მხოლოდ მაშინ დააპატიმრებენ კერძო პირთ, როცა შესაფერი ორდერი ექნებათ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან. ყალბ ნიადაგზეა აღმოცენებული გაბაშვილის აზრი, ვითომ რაზმი ვერ შელახავს კონსტიტუციონალურ გარანტიებს. პირიქით, რაზმის მაზანია ასეთი გარანტიების განმტკიცება.

ალ. ლომთათიძე (სოც.-დ.). ფარდას ხდის იმ მოსაზრებას, რომლითაც ხელმძღვანელობდა გაბაშვილი, როცა ილაშქრებდა ინსტრუქციის წინააღმდეგ და ამბობს, რომ გაბაშვილებს ეშინიათ კონტრ რევოლიუციონერთა სიაში თვითონ არ მოხვდენ და ამიტომ მოითხოვენ სიტყვა კონტრ რევოლიუციონერის სხვა სიტყვით შეცვლას, ისინი კიდევაც იწონებენ კანონ პროექტს და კიდევაც ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის კონტრ-რევოლიუციონერი და ანგარიშსაც ვუწევთ მათ.

მ. ფაჩუაშვილი (ს. რ.). ს. რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ასეთი რაზმის დაარსება მიზანს ვერ მიაღწევს და ამიტომ ს.-რევოლიუციონერთა ფრაქცია კენჭის ყრის დროს თავს შეიკავებსო.

ნ. რამიშვილი იცავს კანონ პროექტს და ამბობს, რომ ასეთი სერიოზული კანონ პროექტის კენჭის ყრის დროს თავის შეკავება ისეთ პარტიისათვის, რომელიც მთავრობის საერთო პოლიტიკურ ხაზს იზიარებს ერთგვარი დანაშაულია ეს ნიშნავს ამ საკითხის შესახებ აზრის უქონლობას, ყოველ შემთხვევაში, ასეთი საკითხის გადაჭრის დროს საჭიროა თვითეულმა პარტიამ სთქვას ან ჰო, ან არა.

ვეშაპელი (ნ. დ.) ჩვეულებრივად აკრიტებს მთავრობის მოქმედებას და ამბობს, რომ რევოლიუცია საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს და ურჩევს სოციალისტურ პარტიებს დაანებონ თავი რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიას: „კონტრ-რევოლიუცია", „რევოლიუცია", „კომისარი" და სხვ. ამოშალეთ ლექსიკონიდან და ხალხში უფრო მეტი წესრიგი იქნებაო. სპეკულიაციის გაჩვითარების მიზეზებს ის მთავრობის გადაწყვეტილებებში ხედავს.

ალ. ლომთათიძე ამბობს, რომ ვეშაპელის სიტყვა სავსეა რევოლიუციისადმი ზიზღით, სიძულვილით. მან სთქვა რევოლიუცია გათავდაო, გეკითხები ბ. ვეშაპელო ვინ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობა? (მსოფლიო ომმა, ისმის ნაც.-დემ. ადგილიდან). მსოფლიო ომი საქართველოს სავსებით გაანადგურებდა, რომ არ ყოფილიყო ის ხელმძღვანელი პარტია, რომელსაც თქვენ სამწუხაროდ დღეს ასე დაუნდობლად ესხმით თავს. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ კანონ-პროექტი მიიღო.

**საღამოს სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.**

განსახილველია კანონ-პროექტი საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციის შტატების დაწესების შესახებ. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალით საქართველოს რესპუბლიკისათვის დაწესებულ უნდა იქნეს შემდეგი შტატები:

თფილისის გუბ: 1 გუბერნიის კომისარი, ორი მ.ში თანაშემწე, 7 მაზრის კომისარი, 7 მათი უფროსი და 3 უმცროსი თანაშემწე, 32 რაიონის კომისარი, ქუთაისის გუბ: 1 გუბერნიის კომისარი და ერთიც მისი თანაშემწე, 7 მაზრის კომისარი და 7 მათი თანაშემწეები და 24 რაიონის კომისარი. სოხუმის ოლქში: ერთი ოლქის კომისარი და 4 რაიონის კომისარი. გუბერნიის კომისარს უნდა მიეცეს წელიწადში 16,200 მ. მის თანაშემწეს—10,800, მაზრის კომისარს—9000 მ., მის უფროს თანაშემწეს 7,200 მ., უმცროს თანაშემწეს კი—6000 მ. სოხუმის ოლქის კომისარს 13,200 მ., [illegible] კომისარს კი—4,200 მ. [illegible]

დასასრულ საბჭომ დაამტკიცა [illegible] კანონპროექტი [illegible] 1 კომისარის და 5 მილიციონერის [illegible] კომისარს [illegible] 300 მ. [illegible] მილიციონერს კი—220 მან.

ა. ს—ძე.

## ერობის გარშემო

[illegible]

## ცოტა რამ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებზე

[illegible]

ნისტური სახელი დაურჩა. ყრილობის მიზანი იყო ძველი საოლქო კომიტეტისათვის, მისი წლიური მოქმედების ანგარიში ჩამოერთმია და შემდეგ საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის მოხელეების პროფესიონალური კავშირი შეედგინა. ყრილობაზე სამანდატო კომისიის მოქმედებამ და მანდატების დამტკიცებამ, თავიდანვე ნათელჰყო ყრილობის სახე და მისი ნაყოფიერი შრომის შესაძლებლობა. ყრილობამ გასტანა ოც დღეზე მეტი.

უკიდურეს ცალმხრივობის გამო, რომელიც გამოიჩინა უმრავლეს ქართველ მოხელეებმა ყრილობაზე, რუსების სომხების და ნაწილ ქართველ მოხელეებისამ, პროფესიონალურ კავშირის გამგეობის არჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავათ ამისა, „კავშირი" შესდგა და საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის სახელ ატარებს. ეს „კავშირის" ჯგუფი უფლების დარღვევით და ძალით მოექცა საქმეს სათავეში. ასეთი მოქმედებით, ფოსტ. მოხელეთა დემოკრატიაში დიდი უნდობლობა დაიმსახურა; ყრილობამ გათიშვა მოგვცა და სხვა არაფერი.

მართალია სხვა ერის მოხელეებიც არა ნაკლებ ზოოლოგიური ნაციონალიზმით არიან გაჟღენთილი, მაგრამ დემოკრატია მუდამ წმინდათ ატარებს თავის ერთა სოლიდარობის დროშას. ის ქართველი მოხელენი კი, რომლებიც ეხლა ასე „პატრიოტობენ" ისე შორს არის დემოკრატიზმისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ჩვენ მუდამ ვიხმართ ბრძოლაში იმ საშუალებებს, რომლებიც საერთაშორისო დემოკრატიას სჩვევია და არც ერთ უკიდურესობაში არ გადავარდებით. ამაშია მორალური და ფიზიკური ძალა და გავლენა დემოკრატიისა.

ალფესი სიმონის ძე თოხაძე.

## საჩხერეში

16 ივლისი. დროებითი სიწყნარე დაირღვა. ჩიხ სა, დარკვეთისა და ივანწმინდის მიდამოებში კვლავ მუშაობა შეწყდა და „ბალშევიკ-ოსთა" „ბანდიტები" კონტრ შეტევის გზას დაადგენ. კორბოულ ივანწმინდის მხარეში დასაზვერავათ წასული ფხაკაძის კავალერისტებს სროლა აუტეხეს. დასჭრეს რამოდენიმე. აქ-იქ გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა მზვერავებიც.

არტილერიის უფროსი კაპ. იზხნელი, უფროსი საჩხერეს რაიონში მომქმედ ჯარებისა, საჩქარო მზადებას შეუდგა. მისი მიზანი იყო, რომ დილით ადრე ყოველ მხრივ შეტევა დაეწყო და უკანასკნელად დაერტყა ჰალისათვის, სადაც აჯანყებულთა მთავარი ძალა იყო შტაბითურთ. იგი წ ნასწარ მოფიქრებით ექცეოდა სამხედრო ოპერაციებს, სიფრთხილით და ნაკლები მსხვერპლის მოხდენით. ამიტომ იყო მოწინააღმდეგემ თვით განიზრახა შემოტევა.

ღამე ყველა „პოსტებზე" დრო გამოშვებით სროლა იყო. საჩხერეს მომქმედი ძალები ფეხზე იდგა. გადაწყვეტილი იყო ყველა მიმართულებით გალაშქრება. 3 საათიდან მოძრაობა დაიწყო.

17 ივლისი. გათენებისას 4 საათზე ჩვენი ჯარები გადავიდა იერიშზე. ეხოს, ურღულის, ეთოს და კვინერაულის მთებით, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ მისდევს ყვირილის საზოგადოების სოფლებს. მოქმედება დაიწყო მე-12 ტე პოლკის გურიის გვარდიის ნაწილმა, ცხენოსანმა და გამყრელიძის რაზმებმა. ჩიხის, ივანწმინდის და მდინ. ყვირილის მიმართულებით გურიის გვარდიის ნაწილმა, ფხაკაძის ცხენოსანმა რაზმმა ლ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით. მოიდანახეს ციხით, ციხის რაზმმა, ჯარის ნაწილმა და გურულების რაზმმა მ. ელიაძის მეთაურობით. მთელი ფრონტი, რომლის სიგანე 15 ვერსამდე იყო, ახმაურდა. მტერი, რომელიც ჩვენზე თავდასასხმელათ ემზადებოდა და წინ მოიწევდა, გამაგრებული დახვდა. ჩვენს ნაწილს გასვლისთანავე შეტაკება მოუხდა. ბარიკადებში გამაგრებულებმა დაიწყო სროლა. 6 საათზე ყოველ მხრივ ძლიერი თოფის სროლა და ტყვიისმფრქვეველთა მკაცრი დაუნდობელი ხმაურობა. ტყვიების ზუზუნი ყველაში შურისძიების ცეცხლს ანთებდა. მოისმოდა ხმები წინ წაწევისა და ყველა ნაწილები ქედ მოუხრელათ, გმირული სულით მიიწევდენ. ჩვენს „ცეპში" დაეცა ამხ. იესე ვასაძე ტყვიით განგმირული. მძიმეთ დაიჭრა დანიელ კოს. გუჯაბიძე. ისინი წაიღეს. გზა და გზა ვაწყდებით დახოცილებს, ხელში იგდებენ ტყვეებს. მოწინააღმდეგე იხევს სროლით. შუა დღეზე ყურთა სმენა აღარ არის. არტილერიის ცეცხლიც გაიხსნა, ყუმბარები მოწინაღმდეგეთა პოზიციებს სცემს. ტყვიის მფრქვეველთა „კამანდები" მარჯვეთ და სწრაფათ გადიან ქვევით რაზმებთან ერთად. ცხენოსანნი თავ განწირულათ მიიწევენ და იქით გარბიან, საითაც გასაჭირია.

ნამდვილი ომი დაიწყო. აქა-იქ სოფლებიდან ყვირილი და ხმაურობა ისმის.

დღე სევდიანი იყო. დროგამოშვებით მზე გადმოგვხედავდა. ქარიც ჰქროდა.

მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი მოიდანახეს ციხისაკენ წავიდა, რომ იქ ჩვენი რაზმი გაერღვია და ზურგიდან დაგვსხმოდა. ცხენოსნები იქით გაეშურენ. ჩვენ არ ვიცოდით ვის რა ზარალი ჰქონდა, მხოლოდ მთელ ფრონტზე წინ წაწევა მწყობრათ ხდებოდა, რასაც ამტკიცებდა „პულემიოტთა" გრიალი..

დაღამდა. ზარბაზნების გრიალი შეჩერდა. ჩვენ 7 ვერსი გავიარეთ. ჩიხის ეკლესიას ზევით. ივანწმინდის მიმართულებით შეჩერდა ჩვენი ხაზი. გაუთანასწორდა მთით მიმავალ რაზმებს. ჩვენ ცნობები მივიღეთ, რომ მეთორმეტე პოლკის ჯარისკაცი მოჰკლეს ბრძოლაში, დაიჭრა რამოდენიმე. გურიის რაზმიდან დაიჭრა მძიმეთ იესე გოგვაძე, მსუბუქათ ჩვენი შტაბის წევრი ამხ. დომენტი წითლიძე. გამყრელიძის რაზმს დააკლდა რამოდენიმე.

ღამე მშფოთვარე და მღელვარე იყო. მთელ ფრონტზე სროლა იყო. ჩვენმა რაზმებმა სანგრები გაამზადა და თხრილებში ჩაწვენ. სროლა თოფების, „პულემიოტების", სოფლებში ძაღლების ღმუ ლი, ერთი მეორეში არეულები იყო. აქა იქ გაბნეულ სოფლებიდან აღარ მოსჩანდა მკრთალი სინათლე.

ლეგა ღრუბლები, მდუმარებით მოცული მთები, მშვენიერი მინდორ-ველები, ხანდისხან მკრთალად გადმომყურე მკრთალი მთვარე, ყვირილის ჩვეულებრივი ხმაურობა, სამშობლოსათვის მებრძოლთა სანგრები, მძიმეთ დაგაფიქრებდა ადამიანს: ვინ იცის, რა წყეულია ეს ქვეყანა. ბუნებით შემკულ მხარეში ყველაფერი უსამართლოდ მოწყობილა. მშრომელთა ქოხ მახები შავ ბნელი ჯესლით მოზხამულა.

ფიქრები.. შავი ფიქრები თან გვეხვეოდა მხოლოდ მაშინ, როცა წუთიერი სიწყნარე ჩამოვარდებოდა. ან. ს. ჭალა.

## საფლავზე

კვლავ მსხვერპლზე მსხვერპლი!.. ვერ დავთვალე კუბოთ ლაშქარი!..
ჩემი სამშობლო წამებული სისხლმა შეღება,
თავისუფლებას ნეტა კარი რათ არ ეღება?!
რატომ შეშურდა უკუღმართს ბედს ჩვენთვის შაქარი?!
რომელი ერთი დავიტირო? ყველა აქ არი:
აგერ ვალიკო... იქ დათიკო... აქაც სიმონა..
მათ შავმა ხვედრმა ჩემი გულიც დაჭრა იმონა,
და მეც ავკვნესდი, როგორც მათი მოძმე, ამქარი.
ვაი ჩვენს თავსა, ბევრი გმირი დავასამარეთ!
ვინ გასცემს პასუხს მოსეულ მტერს აწ შინ და გარეთ?
ნორჩ რესპუბლიკას ვინ დაიცავს, ვინ ადიადებს?
მშვიდობით, ძმებო! ვალმოხდილი იძინეთ ტკბილათ.
ჩვენ კი თქვენს საქმეს კვლავ განვაგრძობთ, ვიქნებით ფრთხილათ,
შევეწირებით ტკბილ მომავალს საგანთიადოს.

ვ. რუხაძე.

## მფრინავი რაზმი

ყველამ კარგათ უწყის, რომ თფილისში არსებობს ეგრეთ წოდებული „თბილისის განსაკუთრებული მფრინავი რაზმი", გუბერნიის კომისარიატთან. აღნიშნული რაზმის დანიშნულება არის საქართველოში ანარქიული მოძრაობის ჩაქრობა და რევოლიუციონური წესრიგის დაცვა საერთოდ. რაზმის უფროსად დანიშნულია პოლკოვნიკი ხარაძე. რაზმის საარსებოთ მთავრობამ გადასდო განსაკუთრებული თანხა, მილიონ ნახევარი მანეთი; ჰქონდა დიდძალი სურსათი, ტანსაცმელი და სხვ. რაზმი უზრუნველყოფილი იყო ყოველი მხრით. მას შეეძლო ეარსება აღნიშნული ქონებით თუ მეტი არა ერთი წელი მაინც. დღეს თუ ნახავთ რაზმის მატერიალურ მდგომარეობას, გაკვირვებული დარჩებით. ცეიხგაუზებში აღარაფერია. სადაც გაქრა სახალხო ქონება. რაზმიც არ იყო სასურველი პირებისაგან შემდგარი. შიგ მოექცა ყოველი ჯურის ხალხი. საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ერთი ასეულის „ვახმისტრათ" დანიშნული ჰყავდა გ. ნ ძე, ყოფილი პოლიცეელი ქუთაისში და მარჯვენა ხელი პოლიცმეისტრის მახარაძისა. ამ ვაჟბატონს ჰყავდა ერთი კომპანია, 8 კაცისაგან შემდგარი; დადიოდენ ქალაქში, ახდენდენ ჩხრეკას ნომრებში, კერძო ბინებზე, ძარცვავდენ ხალხს, და ნადავლი იარაღი მოჰქონდათ რაზმში; რაც საუკეთესო იარაღი იყო, თვითონ მ ითვისეს, რევოლვერები, კარაბინები, და ცუდ თოფებს კი ცეიხგაუზში აბარებდენ. როდესაც შეგნებულმა ამხანაგებმა მათ მოქმედებაზი ეჭვი შეიტანეს და მათ მძარცველები უწოდეს, ნიჟარაძემ შემდეგი გვიპასუხა. „მე უფროსებმა, მიბრძანეს და ვისაც მინდა იმას წავიყვანო", მას ეგონა თითქოს ჩვენ იმას ვეხოვდით ჩვენც წავეყვანეთ „ობისკებზე". მაგრამ ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო" და მართლაც რამოდენიმე პირი ბოროტმოქმედებაში დაიჭირეს და დღეს ციხეში სხედან. დღეს რაზმი თითქმის გაწმენდილ ა ამნაირი ხალხისაგან. ვხედავდით ამნაირ მდგომარეობას და სიტყვა ვერ გვეთქვა, მაგრამ მერე გადავსწყვიტეთ კრების მოწვევა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აკრძალულია ყოველგვარი კრების მოწვევა პოლკის ნაწილებში. რაზმმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ეთხოვოს მთავრობას რაც შეიძლება ჩქარა დაინიშნოს საგანგებო რევიზია რაზმის გაფლანგული ქონების გამოსარკვევად, მოგვცეს ნება რაზმის წარმომადგენლების რევიზიაში მონაწილეობის მიღებისა, აგრეთვე მოწვეული იქნეს ალექსანდრე აბესაძე, როგორც ჩამბარებელი ქონებისა. რაზმის წარმომადგენლებს უნდოდა პირდაპირ მთავრობისთვის მიემართა, მაგრამ მან საჭიროთ სცნო განეცხადებია გუბერნიის კომისარისთვის, კ. ჯაფარიძისთვის; კომისარმა ჩვენ მოქმედებას უწოდა „ბალშევიკური". კომისარი, შემდეგ თხოვნისა, დაპირდა მათ ორი დღის განმავლობაში დაენიშნა კომისია, მაგრამ ეს ერთი კვირა გადის არავითარი კომისია არ ინიშნება. ჩვენ არ ვიცით, თუ როდემდის გაგრძელდება ამნაირი მოქმედება, და ის ცოტა რამ რომელიც რაზმს გააჩნია სულ გაიფლანგება, კომისიის მოსვლამდის;

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ვისგანაც ჯერ არს, რომ აილაგმოს შინაური მტრები და დამნაშავეებს ღირსეული სასჯელი მიესაჯოთ.

ამხ. მონდომ. ერთი რაზმელთაგანი.

## ბალშევიკების ლაშქარი

დუშეთის მაზრაში ბრძოლის დროს „ბალშევიკებს" დახევა მოუხდათ დ. ყაზბეგის იქით. დარიალის ხეობასთან მათ მოხევეებმა გზა გადაუჭრეს. ბევრი მათგანი ტყვეთ ჩაგვივარდა ხელში, ტყვეებთან ერთად დიდი ნადავლიც. სამი-ოთხი სოფელი ისე გაუძარცვავთ, რომ წარმოდგენა შეუძლებელია. თავის თვალით უნდა ნახოს კაცმა, რომ ნათლად წარმოადგინოს ის საზიზღროება, რომელიც დახევის დროს ჩაუდენიათ მათ. განატაცებიდან ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ივლისის 15 ს 43 წყვილი საცვალი ორივე სქესისა; „ფრენჩი", „ჟილეტი" და „პიდჟაკი"—16, 8 შარვალი, 8 ქალი, „რუბაშკა", 11 ხალათი, 3 ჩოხა და ახალუხი, 5 იუბკა, 3 ბავშვის პერანგი, 8 სუფრა, 14 საბნები, 20 პირსახოცი, 4 „კურტკა", 2 წყვილი კალოში, 1 საწვიმარი, 7 ხელთათმანი, 3 პალტო (ერთი მღვდლის), 12 ზეწარი, 6 ფანჯრის ფარდა, 7 ნოხი, 2 სამოვარი, 23 გრამოფ. პლასტინკა, 2 საკერავი მაშინა, 4 სარკე, 15 ტომარა, 1 ბუხრის ქუდი, 10 წიგნი, 2 ტომარა პაპიროსი და თამბაქო, 2 ცული, 3 ვედრო, 10 გირვანქა ჩაი, 4 დიუჟინი დანა-ჩანგალი, კოვზები, 2 წმ. გიორგის ჯვარი, 5 ვერცხლის საჭიქე, 2 ეკლესიის ჯვარი, ერთი მღვ ლის, 6 მაკრატელი, 2 დიდი „პალატკები", 25 „ხამუტი" და მისი მოწყობილობა, აუარებელი ნემსი, ძაფი, ფოლაქები, ცხვირსახოცები, და სხვა მრავალი რამ... ყოველივე ეს ივლისს 16 ხალხისაგან ამორჩეულ კომისიის და მოხევეთა სამოქალაქო კომისრის თანადასწრებით დავურიგეთ ხალხს უკანვე. ქალები და ბავშვები ტირილით მოდიოდენ, ეძებდენ ოჯახის დაკარგულ ავეჯეულებას, მაგრამ გულდაწყვეტილი უკანვე ბრუნდებოდენ. ჩვენ გვინდოდა სურათის გადაღება, მაგრამ ფოტოგრაფი ვერ ვიპოვნეთ. დავათვალიერე ტყვეები. დიდი უმრავლესობა მეგრელია. არც ერთი მათში ცნობილი პირი არ აღმოჩნდა. თითქმის ყველა ყოფილი დეზერტირები და მძარცველებია.

გუ—ლი ქობალავა.

**ჩვენი ტყვეები ბალშევიკების ხელში.**

ამ წერილით მინდა ვაცნობო მკითხველებს, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენს ტყვეებს ბალშევიკები.

დუშეთის მაზრაში უკანასკნელ არეულობის დროს, თფილისიდან გაიგზავნა მფრინავი რაზმი. შეტაკების დროს ამ რაზმის ნაწილი ტყვეთ ჩავარდნიათ ბალშევიკებს. სამი ტყვეთაგანი გამოპარვიათ ბალშევიკებს და ჩამოვიდენ თფილისში, რომლებმაც ჩამოიტანეს წერილი ტყვედ დარჩენილ რაზმელისა. წერილში გვაცნობებს, რომ ტყვეთ ჩავარდნიათ 64 კაცი. ამ ტყვეებს გაუვლიათ ფეხით 65 ვერსი და მისულან ერთ სოფელში კავკავის ახლოს. გზაზე სულ გაუძარცვავთ აგრეთვე უცემიათ. ეხლა დამწყვდეული არიან და ვინც წააწყდება, ის სცემს თურმე. სამი დღის განმავლობაში არაფერი უჭმევიათ და ეხლა კი მხოლოდ ნახევარ გირვანქა პურს აძლევენ დღე და ღამეში. ჰყ იან ცემენტის იატაკზე. როგორც იტყობინება ტყვე, ბალშევიკების შტაბის უფროსათ ითვლება ჩვენში კარგათ ცნობილი ფილიპე მახარაძე და მათი ბედიც, თურმე, ამ ფილიპეზეა დამყარებული. „ამ ცოტა ხანში ან გაგვანთავისუფლებენ, ან და სულყველას დაგვხოცავენო",—წერს რაზმელი.

ამ წერილიდან მკითხველი კარგათ მიხვდება, თუ როგორ „ბალშევიკებთან" გვქონია საქმე. ამ ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, „სოციალიზმის განხორციელებას" შეუდგენ და სინამდვილეში მათი მოქმედება სიმხეცე და ძარცვა-გლეჯაა, მეტი არაფერი.

კო-კო.

## კახეთის რკინის გზაზე

ამ ორი-სამი თვის წინათ კახეთის რკ. გზაზე დიდ არევ-დარევას ჰქონდა ადგილი. მთელ გზას ნაძირალები დაეპატრონენ, მატარებლები არყის მზიდავებმა და სპეკულიანტებმა ჩაიგდეს ხელში და როგორც სურდათ, ისე დათარეშობდენ. ამ ანარქიის წინააღმდეგ ზომები მიიღო გზის მთავარმა კომიტეტმა, დაიქირავა სამგზავრო მატარებლებისათვის განსაკუთრებული რაზმი, დაურიგა იარაღი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთაც და, როგორც იქნა, აღადგინა წეს რიგი, როგორც გზაში, ისე მატარებლებში. წესრიგის აღ გენის შემდეგ მუშა-მოსამსახურენი დამშვიდებულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და გზის შემოსავალმაც თვალსაჩინოთ იმატა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ისევ ირღვევა წესრიგი გზაზე და მუშაობაც თანდათან ფერხდება. ხოლო თუ წინათ ნაძირალები და არყის მზიდველები არღვევდნენ წესრიგს, ეხლა მათ როლში გამოდიან სოფლის კომისრები და მილიციონერები. ისინი აშკარა თავდასხმებს ახდენენ რკინის გზის მოსამსახურეებზე, სძარცვავენ მათ და ერევიან რკინის გზის საქმეებში. მაგ. ისინი სადგურების უფროსებს ნებას არ აძლევენ გასაგზავნათ მიიღონ ფქვილი. ამ ნიადაგზე დიდ უწესოებას ახდენენ და დიდ ზარალს აყენებენ ისედაც ღარიბ რკინის გზას. ამას მიაქცია ყურადღება გზათა სამინისტრომ და შესაფერი განკარგულებაც გასცა, მარა სოფლის კომისრები ასეთ განკარგულებებს არ ემორჩილებიან.

ეს კიდევ არაფერი. მილიციონერები აშკარა მძარცველებათ გამოდიან. მაგ. 21 ივლისს კახეთის რკინის გზის მე-12 ვერსის სადარაჯო ბუდკაში შეცვივდენ მარტყოფის მილიციონერები, დაუშინეს თოფები შენობას, დასჭრეს და მერე სცემეს დარაჯს ნაბი მამედ ოღლის; შემდეგ, სართიჭალის კომისარის განკარგულებით, დაატუსაღეს ის და წაიყვანეს სართიჭალაში. მილიციონერებმა წაართვეს მას 2,100 მანეთი და თოფი, რომელიც ჰქონდა მიცემული მთავარი კომიტეტისაგან თავის დასაცველათ.

არც ერთ კომისარს არა აქვს უფლება მოხსნას სამსახურიდან რომელიმე მოსამსახურე რკინის გზის ადმინისტრაციის წინასწარ შეუტყობლათ, თუნდ მოსამსახურე დამნაშავეც იყოს.

ამაზე უფრო უარესი თავხედობა ჩაიდინეს კომისარ-მილიციონერებმა 24 ივლისს სად. მუკუზანში. ველისციხის კომისარი 50 მილიციონერით თავს დაესხა სადგურს და ალყა შემოარტყა სამგზავრო მატარებელს იმათ მოინდომეს იარაღის აყრა მატარებლის მცველ რაზმისათვის, მარა უკანასკნელი არ დანებდა. ისინი მცველ რაზმს ეუბნებოდენ: თქვენ და რკინის გზის მოსამსახურენი ხულიგანები ხართ... ჩვენ არ ვცნობთ მთავრობის კანონსა და განკარგულებებსო. თითონ კომისარი უდიერათ იხსენიებდა მთავრობის მეთაურს ნ. ჟორდანიას.

ასეთი მოვლენები თანდათან ფართოვდება და საჭიროა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული დამნაშავეთა წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში კახ. რკ. გზა შესწყვეტს მოქმედებას, რადგან მას ასეთ პირობებში მუშაობა არ შეუძლია.

ყველა აღნიშნულ ფაქტების შესახებ თავის დროზე ეცნობა მთავრობას.

გლ. ბ—ძე

## ჯარის-კაცთა წერილები

### ჯარი და დისციპლინა.

რეგულიარული ჯარი აუცილებელი საჭიროებაა დღეს ჩვენი სახელმწიფოს არსებობისთვის და მისი ინტერესების დაცვისათვის. ჩვენი მთავრობა უკვე შეუდგა ამ საკითხის სისრულეში მოყვანას და დღეს თუ ხვალ კიდევაც იქნება ასრულებული, მხოლოდ ეხლა კითხვა ისმება, თუ როგორი წესი უნდა იქნეს ჯარში და როგორი დისციპლინა უნდა შევქმნათ.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა მოგვიტანა უდისციპლინობამ და რა შედეგი მოყვა მას. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რას მოგვიტანს ისეთი დისციპლინა, როგორიც წინად იყო. ამისთვის საჭიროა სულ სხვა აზრის გატარება და უფრო შეგნებულათ საკითხის გადაჭრა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრებაში იმ კანონს ატარებენ, რომელსაც მეტი მომხრე ყავს და რომელსაც უმრავლესობა მხარს უჭერს. მაშასადამე, ჩვენც უნდა ჩავიხედოთ ჯარის კაცების უმრავლესობის გულში და ისე მოვაწყოთ საქმე, როგორც უმეტესობა მოითხოვს და მხარს უჭერს. დღეს ჯარში არავითარი [illegible] შაობა არ არის, ჯარის-კაცები [illegible] უხმოდ ას[illegible] ბას და არავითარ წინააღმდეგობას ალაგი არა აქვს. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხდება, ჯარის-კაცები მოელიან საქართველოს რესპუბლიკიდან გადაწყვეტილ კანონებს რომელსაც ისინი მხარს დაუჭერენ. ზოგიერთი უფროსი ამით სარგებლობს და ჯარის კაცებს ისევ ძველი წესის აღდგენით ემუქრება, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამ საკითხს შესაფერათ გაარჩევს.

ჯარის შედგენისთანავე უნდა გამოიცეს შესაფერი კანონები და მასთან უნდა იქნეს გამოცემული სამეცადინო გეგმები და ფუნქციები, უნდა იყოს განსაზღვრული დრო მეცადინეობის და უნდა იცოდეს ყველამ თავისი მოვალეობა, როგორც უნცროსმა ისე უფროსმა. ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს ის უფლება, როგორც ყველა მოქალაქეს, როდესაც ის სამხედრო სამსახურს არ ასრულებს. დანაშაულობისთვის ის უნდა ისჯებოდეს სასტიკად და არავითარ ი პატიება არ უნდა იყოს. ჯარის-კაცი ენის შეუბრუნებლად უნდა ასრულებდეს უფროსის ბრძანებას, მაგრამ უნდა იყოს ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც თვალყურს უნდა ატანდეს უფროსების ბრძანებას, რათა არ იქნეს შელახული დემოკრატიის ინტერესები. ჯარის კაცებმა უნდა იცოდეს რა დანაშაულობისათვის რა მოელის მას, და ან რა უფლება აქვს.

სამსახურის შესრულების შემდეგ, ის უნდა იყოს სრულ უფლებიანი, იშრომოს და იმეცადინოს, როგორც თავისუფალმა მოქალაქემ, ესე იგი მოაწყოს ორგანიზაცია გახსნას სამკითხველოები, იკითხონ ჟურნალ გაზეთები და სხვები. ეს უფლება მას უნდა ქონდეს მთავრობისგან მინიჭებული.

ჩვენ თუ გვსურს ჯარის შედგენა, კიდევაც უნდა მოვაწყოთ ისე, როგორც ჯარის უმეტესობა მოითხოვს, რათა ამით ხელი შეუწყოთ დემოკრატიის სურვილების განხორციელებას.

საწყალი მუშა.

## ს.-დემ. პარტიაში

**ს. ინტაბუეთი** (გურია) ივლისის 12 ს შესდგა ს.-დ. ორგანიზაციის კრება. პირველათ თავმჯდომარემ გაგვაცნო განსვენებული მუშათა კლასისთვის თავდადებული გიორგი პლეხანოვის მოღვაწეობა. წევრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ ამისა მოხდა კოლექტივის და ბიუროს წევრების არჩევნები. კოლექტივის წევრებათ იქნა არჩეული: ლ. ჩიგოგიძე და რ. ანთაძე, ბიუროს წევრებათ პ. ბასილია, დ. თავბერიძე, ლ. წიქარიძე, ბ. ჩიგოგიძე და ე. ჩიგოგიძე. ამათ უნდა დაარსონ სამეცადი ო წრე.

მ. ინტაბუეთელი.

**თფილისი.** 24 ივლისს ტრამვაის მოძრაობის ს.-დ. პ. მუშების კრება მოხდა. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე კითხვები, 2) მომატების შესახებ, 3) ფრაქციების მოქმედება პროფესიონალურ კავშირში, 4) პურის შესახებ, 5) ცენტრალურ სადგურში მომხდარი ამბები და 6) განცხადება ამხანაგისა. ამხ. ლორია შეეხო ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობას. მოკლეთ დაასურათა არსებული მდგომარეობა და მისი გამომწვევი მიზეზები. დასასრულ სთქვა, რომ ჯერ საბრძოლველი ბევრი გვაქვს და ვისაც კი შესტკივა გული თავისუფლების დასაცავათ, ვისაც შეუძლია იარაღის ტარება, მოუწოდა ჩაწერილიყო გვარდიაში. იყო რამდენიმე შეკითხვა, რაც მომხსენებლის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა. ამხანაგი აგრეთვე შეეხო ერობის საქმეს და კრების დავალებით უნდა მოიწვიოს კრებაზე ერობის მცოდნე, რომელიც წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე. მეორე კითხვათ იდგა ჯამაგირების მომატება. ამხ. თედიშვილმა გაგვაცნო ქალაქის თავის განცხადება მომატების შესახებ და არსებული მდგომარეობა, რომელშიაც ტრამვაი იმყოფება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა თედიშვილის მოხსენება მომატების შესახებ და იმ წინადადების შესახებ, რომელიც ყოფილა ქალაქის თავის მიერ, კრებამ დაადგინა დაიცვას მოთხოვნილება მუშების, იქამდე, სანამდისაც ეს შეუძლებელი იქნება, ყოველ შემთხვევაში საქმე გადაწყდეს მორიგებით. მოეწყოს სასურსათო საქმე ადგილობრივათ, ეთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, ნებართვისთვის პურის შეძენის შესახებ, მოეწყოს წისქვილი ელექტრონის სადგურზე, სადაც შესაძლებელი იქნება ხორბლის დაფქვა". კრება ამით გათავდა. დანარჩენი კითხვები განუხილველი დარჩა.

რ. თ—ძე.

# მუშათა შორის

## თფილისის მზარეულების კავშირი.

იყო დრო, როდესაც მზარეულებს არ გვქონდა კავშირი, არ გვქონდა რვა საათის სამუშაო დრო მოპოვებული, არ გვქონდა ჩვენი ადამიანური უფლება აღდგენილი და ათასგვარ დევნას და დამცირებას განვიცდიდით. მაგრამ ჩვენ მოვესწარით თავისუფლებას და დავაარსეთ ჩვენი კავშირი აუტანელი პირობების გასაუმჯობესებლად. კავშირი მოქმედებს შეძლების და გვარად, რიგიანად და პირნათლად. წევრებიც ბევრი გვყავს და კიდეც ესწრებიან კრებებს. მაგრამ რამოდენიმე ამხანაგების შემწეობით ნელ-ნელა გვშორდებიან: კავშირის და არტელის სახით იჭერენ „ხაზეინის“ ადგილს; მე მწამს დემოკრატიული არტელი, რომელიც მუშას საქმეს აუმჯობესებს და არა ასეთები, როგორიც ეხლა გაჩნდენ. საჭიროა კავშირის გარშემო შემოვკრბეთ და ასე ვაწარმოოთ ბრძოლა ჩვენი უფლებების გასაფართოებლათ და მოპოვებულის დასაცავათ.

კავშირის მეთვალყურე.

---

## თფილისის თამბაქოს მუშების პროფესიონალური კავშირი.

კავშირის გამგეობამ აიძულა ის უმუშავარი მუშები, რომლებიც დათხოვნილი იყვენ თფილისის თამბაქოს ქარხნების მეპატრონეებისაგან ძველი რეჟიმის დროს გაფიცვებისა გამო და აგრეთვე გადასახლებული იყვენ ჩრდილოეთ რუსეთში პოლიტიკური არა კეთილსაიმედოებისათვის რიცხვით 88 კაცი, უკან მიეღოთ, პირველი საჭიროებისათანავე, როდესაც წარმოება მოითხოვდა ახალ მუშებს... მაგრამ სამწუხაროთ მუშების უმრავლესობამ ვერ შესძლეს კიდევ რამოდენიმე დროს ცდგილებისთვის ცდა და გამოსთქვეს სურვილი ერთდროულათ ფულის მიღებისა.

ერთ დროულათ თითო მუშამ მიიღო 1500 მ; სულ 88×1500 მ.=132000 მან.

რადგანაც გამოირკვა, რომ კიდევ ბევრი მუშები ღირსი ფულით ჯილდოსი დარჩა იმ სიას გარეთ, რომელიც წარადგინა გამგეობამ და ახალი სიის წარდგენა კი არ შეიძლებოდა, ვინაიდგან სამედიატორო სასამართლომ დაამტკიცა სია განსაზღვრული მუშებისა, 88 კაცი, გამგეობამ გადასწყვიტა თითო მუშისაგან აეღო 250 მან. ამნაირათ შეგროვდა 250 მ. × 88 = 22000 მ. (აქვე უნდა შევნიშნოთ რომ მუშებმა მიიღეს, 1750 მ. და ამ ჯამისაგან 250 მ. გამოკლებული იქნა).

ეს 22,000 მ. განაწილებული იქნა შემდეგი წესით.

1) 8000 მ. მიეცა პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

2) 3000 მ. გადავიდა თამბაქოს ქარხანაში მომუშავე სახალხო გვარდიელებისათვის.

3) 11000 მანეთი დაურიგდა იმ მუშებს, რომლებიც სიის გარეშე დარჩენ.

აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამგეობას იმ სიაში, რომელიც მან წარუდგინა სამედიატორო სასამართლოს, შეეპარა რამოდენიმე პირი, რომლებმაც შეცდომაში შეიყვანეს გამგეობა და როგორც გადასახლებულებმა და დასჯილებმა მიიღეს ფული, ეს მაშინ, როდესაც ეს პირები თურმე არც გადასახლებული იყვენ და ანგარიშიც რამოდენიმეჯერ მიუღიათ ხაზეინებისაგან. ამ პირთა წინააღმდეგ გამგეობა სასტიკ ზომებს მიიღებს.

გამგეობა.

---

# პროვინცია

**დ. ანაკლია** ამ რაიონში საგრძნობ გამოსვლებს მიეცა ადგილი. იანვარში ე. ი. გახულიგანებული ჯარისკაცთა შინ დაბრუნების დროს, პირველად მათ თანაგრძნობით მოევლინა სტეფანე გურგენაძე, 3 თებერვალს საზოგადო კრების დროს ყოფილი ჯარისკაცები კრებას გამოეყო და ცალკე კრება გამართეს, რამოდენიმე ხნის თათბირის შემდეგ ისევ შეუერთდენ კრებას და ადგილობრივ კომისარს აჩხ გეგენავას, რომელიც კრების მდივნათ იყო არჩეული, მიმართეს „ჩვენ ჯარისკაცებს თქვენთან შემოგვაქვს წინადადება ყველა ჯარისკაცები შეგვაიარაღო რევოლიუციის დასაცავადო“. ამაზე კომისარმა უპასუხა: მე ამ კრებაზე ჯარისკაცებს არ ვხედავ, აქ არიან მოწვეული ჩვენდამი რწმენებული რაიონის თავისუფალი მოქალაქენი, მიწის ნორმის შესამუშავებლად, ჯარისკაცთა შეიარაღება მე არ მევალება, არამედ—ევალება სამხედრო მთავრობას, მასთან მე თქვენ ჯარისკაცებად არ გცნობთ და თუ თქვენ მაინც ჯარისკაცის სახელს თქვენი ოჯახებშიც ატარებთ, ეს სწორი არ არის, რადგანაც თქვენ აქ მოქალაქები ხართ, ისე როგორც სხვები. ამაზე ხსენებული ვაჟბატონები გაბრაზდენ და მოინდომეს გვარდიელების თოფების აყრა კრების საწინააღმდეგოთ, ამ დროს კომისარმა ორივე რაინდები დაიჭირა და სამ-სამი თვით ციხეში მიაბრძანეს. ზემოთ ხსენებული ს. გურგენაძემ ძალიან ეცადა მათი განთავისუფლებას, ხან კომისარს დაუწყო გინება გაანთავისუფლე, თორემ ცუდი ამბავი მოყვებაო. ხან სხვა პირებზე დაიწყო ბრალდების გადატანა, აგრეთვე კომისრის არ ყოფნის დროს რამდენიმე კაცს მოუყარა თავი და ვითომდა საზოგადოების სახელით დეპეშით ითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, ეხლა დარწმუნდა „ბოლშევიზმის“ უარყოფითი მხარეებში და შეაქცია ზურგი, თუ რამდენათ სარწმუნოა, მისი სიტყვებით. 10 მაისიდან სოფ. განარჯიას-მუხური ჩამოაგლიჯა ანაკლიის რაიონს და გახდა სამურზაყანოს ბოლშევიკური ქურქში გამოხვეული ქურდ-ყაჩაღთა ბანაკად და თოთხმეტ მაისიდან დღემდე დაბა ანაკლიის და სოფ. ჰითაწყალის მცხოვრებნი ხსენებული კომისარის ხელმძღვანელობით იარაღით ხელში უდგანან მთავრობას გვერდში და თავგამოდებით იცავენ თავს ხსენებული ბრბოს შემოსევისაგან, რაც ძლიერ უძნელდებათ წლის პირველი ხარისხოვანი მუშაობის დროს. 1 ივლისს ადგილობრივი მოსაზღვრე პოსტას ორი ჯარისკაცი გადავიდა მდ. ინგურზედ ს. განარჯიას-მუხურში საიდანაც ერთი დაჭრილი გამოიქცა და მეორე ტყვედ წაიყვანა ბრბომ, მაგრამ მალე დანარჩენი ჯარისკაცები კომანდირის მეთაურობით უკან დაედევნენ და ტყვე გაანთავისუფლეს, ეხლა კომისარს განკარგულება მოუვიდა, რომ დაბა ანაკლიაში საალყო წესებია გამოცხადებულიო, ეს განკარგულება ყველას უკვირს, რადგან დაბის ყველა მცხოვრები ანარქიის წინააღმდეგ იბრძვის და ამავე დროს საალყო წესები ცხადდება, ეს განკარგულება უდანაშაულოს დასჯად მიაჩნიათ, რაისათვის საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

დ—შვილი.

---

**ქვემო ჭალის რაიონი** (გორის მაზრა). კვირას, მკათათვის 20 ს სოფელ ქვემო-ჭალაში, თანახმად რაიონის კომისარიატის მოწოდებისა, შესდგა ყველა საზოგადოებების სახალხო გვარდიელთა, სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების და მოქალაქეთა კრება. კრების მიზანი იყო სხვადასხვა საკითხების გარკვევა, უმთავრესად კი—სახალხო გვარდიის დაარსება რაიონში და სარაიონო შტაბის არჩევა. კრებას დაესწრო გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ნ. კაციაშვილი. თავმჯდომარემ, რაიონის კომისარმა, ილურიძემ გადასცა კრებას სახალხო გვარდიის კანონის შინაარსი და მნიშვნელობა. შემდეგ ნ. კაციაშვილი შეეხო თანამედრო მომენტს, იმ მიზეზებს, რომელთაც იძულებულ ჰყვეს ჩვენი მეთაურები საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოეცხადებინათ. აუხსნა კრებას რომ ანარქიულ კონტრრევოლიუციური გამოსვლები, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ ადგილებში, ნამდვილათ ხალხის მტრებისაგანაა გამოწვეული და მოწყობილი, მიმართულია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და მიზნად ისახავენ ჩვენი თავისუფლების და განსაკუთრებით იმ მიწის კანონის გაუქმებას, რომლის მსგავსი კანონი არც ერთ დემოკრატიას ევროპაში ჯერ არ გაუტარებიაო. მოუწოდა კრებას არ აყვნენ პროვოკატორების სიტყვებს ჩვენი მთავრობის შესახებ და ყოველ მის ნაბიჯებს ენერგიულათ დაუჭირონ მხარი, თუ სურთ შეინარჩუნონ მიწა და თავისუფლება. მიწის საკითხში კრებას უფრო მუნიციპალიზაციის მომხრეობა დაეტყო. მიწებს მდიდრები შეისყიდიან, თუ კი მათ უფლება მიეცათ ამისაო, ამბობდენ ზოგიერთები; კითხვის საბოლოო გადაწყვეტა შემდეგი კრებისათვის გადაიდო. კრებამ მოიწონა მთავრობის კანონი და საჭიროდ ცნო სახალხო გვარდიის დაარსება. რისთვისაც იქვე არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი დროებითი სარაიონო შტაბი. თავმჯდომარედ ნ. თავზარაძე, ტატე ხუბაშვილი, ვასო გახელაძე, ილიკო ღვინაძე და გასიტაშვილი. ყველა შეგნებული და სანდო პირებია. შტაბმა იმ დღესვე გამართა კრება. გაინაწილა ფუნქციები და გადასწყვიტა შეუდგეს დღეიდანვე გვარდიის დაარსებას. რადგანაც გვარდიის შტაბს არავითარი სახსარი არ გააჩნია, შტაბის წევრებმა სთხოვეს გორის სამაზრო შტაბს აეღნათ 2000 მან. საქმის მოსაწყობათ. საჭიროა დახმარება მთავრობის მხრივ.

აქ მუშაობს მიწის მიმღები კომისია ყველაშვილის თავმჯდომარეობით: ქვემო ჭალაში ჩამოსართმევია სულ 3410 დღიური მიწა, რომელიც 19 მემამულების ხელშია მოგროვილი. კომისიის მუშაობა ნორმალურ პირობებში ხდება, რადგან თან ახლავს ახსნა განმარტება მიწის კანონისა კომისიის მხრივ.

აქ არის ორ-კლასიანი სკოლა, მომხმარებელი კოოპერატივი და ბიბლიოთეკა. იყო აგრეთვე ფოსტაც, მაგრამ ახლა უსახსრობის გამო დახურულია. ბიბლიოთეკაც უპატრონობის გამო მიტოვებულია და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, საჭიროა შეგნებული ძალების ამოქმედება.

— აქაურ მილიციონერებს სამი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ, რის გამოც დიდ გაჭირვებას განიცდიან. საჭიროა მათი დაკმაყოფილება, რადგან ეს საქმეს ძლიერ აფერხებს და არა სასიამოვნო ხმებს აქვს ადგილი.

გომელი.

---

**სოფ. იანეული** (გურია). ს. იანეულის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგეობა განმეორებით სთხოვს იმ პირებს, რომლებსაც დაგზავნილი ჰქონდათ სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში, გამგეობის მიერ ხელ მოწერილი მოწოდებები და პასუხი არ მიგვიღია, გამოგზავნონ მოწოდებები უკანვე შემდეგი მისამართით: ჩოხატაური, ს. იანეულის მომხმ. საზ. „ლამპარი“. გ. ბ. თოდრიას. წინაამდეგ შემთხვევაში ჩვენ სხვა ზომებს მივმართავთ.

გამგეობა.

---

**ს. საჭილაო** (მარნის საზოგადოება). ივლისის 6-ს სოფელ საჭილაოში გამართულ იქნა დიდი სახალხო სეირნობა. მიზანი სეირნობის მოწყობისა იყო დახმარება გაგვეწია დაზარალებულ ოჯახებისათვის, და აგრეთვე გაგვეძლიერებია უკვე არსებული ფონდი პოლიტიკური კლუბის და სამკითხველოს შენობის ასაგებათ. სეირნობას შემოსავალი შემდეგია. 1) ბილეთებიდან 1683 მან., 2) ბუფეტისაგან—2413 მ. 95 კაპ, 3) ამერიკული აუქციონიდან 332 მანეთი, 4) ფოსტიდან 152 მან.—20 კაპ., 5) ლატარეიასაგან—389 მან. 20 კაპ.—სულ 4934 მ.—35 კ. ხარჯი—1949 მან.—53 კაპ. დარჩა 2984 მან.—82 კაპ. დარჩენილი ფული, თანახმათ 30 ივნისის ოქმისა, განაწილებულ იქნება შემდეგნაირათ. 10 პროც. დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ; 40 პროც. მარნის საზოგადების ყველა სამკითხველოების სასარგებლოთ და 50 პროც. პარტიული კლუბისათვის.

მომწყობი კომისია.

---

**სადგური საჯევახო.** სადგური საჯევახო აღმოსავლეთ გურიისათვის მეტად მრავალმნიშვნელ ვანი პუნქტია. ეს ერთად-ერთი კარია რომლიდანაც გურიას რკინის გზით შემოაქვს ყოველგვარი საჭირო საგნები, სამწუხაროდ ადგილობრივად პასუხისმგებელი ფოსტის განყოფილება არ არსებობს, რის გამოც ჟურნალ-გაზეთების და სხვა-დასხვა ამანათების მიღება-გაგზავნა უწესრიგო მდგომარეობაშია. წერილები და გაზეთები შემოაქვთ სადგურში, ყრიან ფანჯარაზე, რომლებიც ხშირად იკარგება. ამ არა სასიამოვნო მოვლენის ასაშორებლად ადგილობრივმა გამოჩენებულის საზ. აღ. კომიტეტმა პასუხისმგებელ აგენტად და ჟურნალ-გაზეთების მისაღებათ საჯევახოში დანიშნა ამხ ივაკი (ივანე) ბესარიონის ძე ჯაში. ხსენებულ პირს ევალება საჭირო დამოკიდებულება იქონიოს ჟურნალ-გაზეთების კანტორებთან, მიიღოს მათგან გაზეთები გასასყიდათ და გასავრცელებლათ ხალხში და წესიერად აწარმოვოს და უგზავნოს გაზეთი სხვადასხვა სამკითხველოებს და კერძო პირებს.

მელქისედეკი.

---

**სად. მოლითი** (შორაპნის მაზრა, ბერეჟეულის საზოგადოება). აქ სოფ. ნებოძირის, ბეჟათუბნის და გოლათუბნის ზემო მთის ტყეებში ამ ორი კვირის წინათ გლეხებმა ნახეს შეიარაღებული ჯარისკაცები. ესენი ყოფილან გამოქცეული „მობოლშევიკო“ ჯარისკაცები და აქაც უკვე შეუდგნენ თავის განზრახვის ასრულებას: მთაზე ლორეშიდან მომავალ მეჭურჭლეებს დახვდენ და მოსთხოვეს ფული, მათ ფული არ ჰქონდათ, მაგრამ გაეჩხრიკათ. მეორეთ დახვედროდენ ერთ გლეხს, რომელიც ადგილის საყიდლათ მიდიოდა კახეთში და ჰქონდა სამი ათასი მანეთი, ყაჩაღთა ბრბოს ფული წაერთმია, გლეხი მოეკლათ და დაემარხათ მიწაში წელამდინ, ერთ გლეხს წისქვილში დასაფქვავათ მიჰქონდა ერთი ფუთი სიმინდი და ისიც წაერთმიათ.

რამდენიმე მოტყუებული „მობოლშევიკო“ ჯარისკაცები თავიანთ თოფებით უკვე შეუერთდენ ყაჩაღთა ბრბოს, რომელსაც ისინი დიდს იმედებს ამყარებენ; აწვდიან მათ ყოველგვარ ცნობებს და სურსათს და ერთად ემზადებიან თავის მიზნისათვის, რომელიც დაახლოვებით შემდეგი უნდა იყოს: დაიკავონ რკინის გზის გვირაბი და მოსწყვიტონ იმერეთი ქართლს. ყოველივე ეს არის ხალხის გაუნათლებლობის და ადგილობრივ სამართველოს სისუსტის შედეგი.

მთელი საზოგადოების ჯარისკაცები გაიძახიან: როდესაც მოვლენ ბოლშევიკები, ჩვენ ყველანი იმათ შევუერთდებით და გავასწორებთ ყველაფერსო. სოფლის კომისრები კი არაფერს აგებინებენ მთავრობას მათი შიშით. თუ მთავრობამ ჩქარა არ მიიღო შესაფერი ზომები, სანამ გვიან არ არის და საქმე ადვილათ შეიძლება გაკეთდეს, თორემ მერე ბეჟათუბნის საზოგადოება საომარ ასპარეზად გადაიქცევა, რასაც მოჰყვება შედეგად ხალხის აწიოკება და ახალ მოსავლის განადგურება და შიმშილობა.

მოვუწოდებთ ბეჟათუბნის საზოგადოების მოქალაქეებს ნუ აჰყვებიან ხალხის მტრების, ცრუ „სოციალისტების“ პროვოკაციას, დაიცვან წესიერება და ხელი შეუწყონ მთავრობას წესიერების დამყარებაში და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

№.

---

# წერილი რედ. მიმართ

შაბათს, 20 ივლისს, საღამოს ოთხ საათზე ქ. ქუთაისში, წითელი ხიდის მახლობლათ შემდეგ უბედურებას ჰქონდა ადგილი. ჩემდამი რწმუნებულ ჯავშნიანი მატარებლის № 4 სალდათები ვ. ხუხუნაიშვილი, ნ. ჯორბენაძე და ქელიძე შეხვდენ მიშა დოლიძეს და მის ამხანაგს, რომელსაც დოლიძე სომეხს უწოდებდა. ზემოაღნიშნული პირები დოლიძემ მიიწვია სადილზე, მათაც თანხმობა განაცხადეს და ისადილეს ერთად. მთელი ამ სადილის დროს დოლიძე სთხოვდა ამათ, რომ ეშუამდგომლათ ჩემს წინაშე, რათა მისთვის (დოლიძისთვის) მეპატიებია მისი ჩემს წინაშე დანაშაული (რეაქციის დროს 1916 წ. სხვა ამხანაგებთან ერთად ჩემი დაჭერა) რაზედაც ვ. ხუხუნაიშვილის მეთაურობით აღუთქვამთ შუამდგომლობა და საქმის მშვიდობიანათ მოგვარება. ამ დაპირებას გამოუწვევია ერთმანეთში დიდი ალერსი, მაგრამ დამშვიდობების დროს ახლათ გაცნობილ დოლიძის ამხანაგს (სომხათ წოდებულს)*) ცხენზე მჯდომს უსვრია რევოლვერი და პირველი ტყვია მოურტყამს ხუხუნაიშვილისათვის, მეორე კი ჯორბენაძისათვის, რომლებიც წაქცეულან, ამ დროს მოშველებია იქვე შორიახლოს მყოფი ქელიძე, რომლისთვისაც ხუხუნაიშვილს დაუძახნია: „უცბათ გაუვარდა რევოლვერი და მაგიერი არ ესროლოთო“, მაგრამ დოლიძესაც დაუწყია სროლა, ხოლო მის ამხ. რევოლვერში პატრონა გასჭედია. ქელიძეს რაკი დაუნახავს, რომ აქ სროლა განზრახ იყო ატეხილი და არა უცაბედათ, როგორც მას ხუხუნაიშვილმა შესძახა, დაუხალებია რევოლვერი ორივესთვის და იქვე მოუკლავს—დოლიძე და მისი ამხანაგიც.

ამ სამწუხარო შემთხვევამ ჩემს წინააღმდეგ აამუშავა ბოროტი ენები და ვინ მოსთვლის რაებს არ ჩმახავენ; იქამდეც კი მიდიან, რომ მე ბრალს მდებენ ზემო აღნიშნულ უბედურების მოწყობაში საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებ შემდეგს: რომ მე თვითონ მქონდა საშვალება და ბევრჯერ შემთხვევაც დოლიძისათვის, ჩემს წინაშე დანაშაულისათვის ანგარიში გამესწორებია, მაგრამ მივიღე რა მხედველობაში, რომ დოლიძე ამ ბოლო დროს გამოსწორების გზას დაადგა და სამშობლოს დაცვაში მონაწილეობას იღებდა, დავთმე მისი დანაშაული. მე ხელობათ თავიდან არ მჩვევია თუ ვინმეს რაიმე დანაშაული მიუძღოდა ჩემს წინაშე, იმისი გასწორება სხვისთვის დამევალებია და ვფიქრობ, აწიც ისე არ დავმცირდები. ყველა ამის შემდეგ თუ დოლიძე მაინც ტყვიის მსხვერპლი გახდა, ამის მიზეზი იყო მისი ამხანაგი, რომელმაც პირველმა ასტეხა სროლა და დასჭრა ხუხუნაიშვილი და ჯორბენაძე. მე მოვითხოვ ვისგანაც ჯერ არს დაინიშნოს უსასტიკესი გამოძიება და დაისაჯოს დამნაშავენი.

შანტაჟისტ-ჭორიკანებს მოვახსენებ, რომ დასტოვონ ბნელი საქმეები, თორემ როგორც წარსულში, ისე მომავალში ჩემგან ვერაფერს მოიგებენ.

საქართველოს რესპუბლიკის ჯავშნიანი მატარებლების უფროსი **ვ. გოგუაძე.**

---

რადგან ყველას ხელის წამოსაკრავი ამხ. ომანიძე გამხდარა, „დათვური სამსახურიც“ კი დამწამდა, მასალკინზე წერას კი გაზეთის ფურცლებზე ბოლო აღარ უჩანს, ვურჩევ იმ ამხანაგებს, რომლებსაც რაიმე ანგარიში აქვთ ამხ. მასალკინთან ან ამ უკანასკნელს მათთან გადაიტანონ საქმე პარტიულ სასამართლოში. ეს ერთხელ და სამუდამოთ გამოარკვევდა ამ ამბავს. კეთილ ინებებს ამხ. პ. კახიანი არ დაიზარებს და მობრძანდება იქ და თუ ვისთვის რა დათვური სამსახური გამიწევია იქ გამოჩნდება.

აქ კი მეტად არ მიმაჩნია ამაზე წერა.

ვანო ომანიძე.

---

# ცნობები

ჯარის კაცი კოწია ალექსის ძე წივწივაძე, რომელიც მსახურებდა კიევში და მისი მისამართი იყო ასეთი: კიევი, 759 ქვეითა „დრუჟინის“ შტაბი, მწერალი კ. ა. წივწივაძე. აგერ ექვსი თვე არის, რაც მისმა დედამ არაფერი იცის. გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით ნუ დაიზარებთ და შეგვატყობინეთ. ხონი უფასო სამკითხველო. მიხეილ ალექსის ძე წივწივაძე.

*) ჩემთვის დღემდის გამოურკვეველია იმისი ვინაობა, რადგან ზოგი ამბობს მეგრელიაო და ზოგი კი სომეხიაო.

ვ. გოგუაძე.

---

# ფოსტა

ძველ მუშას ლეონტი მამალაძეს. თქვენი წერილი ამხ. პავლე მასალკინის შესახებ არ დაიბეჭდება. რედაქცია სავსებით გეთანხმებათ თქვენ იმაში, რომ პ. მასალკინი ძველი პარტიული მუშაკია. „აისი“ და „ადამ ბელტი“ კი აღნიშნავდენ მასალკინის შეცდომებს მოვალეობის ასრულების დროს. ჩვენ არ ვიცით რისი თქმა გინდათ: იმის, რომ პარტიულ ამხანაგის შეცდომებს ჩვენი გაზეთი არ უნდა შეეხოს, თუ იმის, რომ ასეთს ამხანაგს შეცდომის ჩადენა არ შეუძლია?

---


**ექიმი ი. ა. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—2)

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26.

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან სნებავთა, საშებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანი, ... და ... ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია იმ მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ზ. ვ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 57; ... ... ... სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

---

# მეორე ქართული კლუბი

„ახალი საკრებულო“, მიხეილის პროსპ. № 129. კვირას, 28 ივლისს, გაიმართება

# დიდი სახალხო სეირნობა

ფრიად საინტერესო პროგრამით. სამხედრო მუსიკა საზანდარი, ლეკური, უზუნდარა, ევროპიული ცეკვა, **სინემატოგრაფი, ქართული წარმოდგენა,** პტიშვო, ტუმბა და სხვადასხვა სათამაშოები და გასართობები, როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისათვის. 10 პროცენტი წმინდა შემოსავლისა გადაიდება ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

დასაწყისი საღ. 5 ს. ახალ დროთი. (2—2)

---

# ვერის სამოქალაქო პარკი

(სატიოზედ, მტკვრის პირას)

კვირას, 28 მკათათვეს 1918 წ. **ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ გაიმართება მ. პავსაძის ლოტბარობით დიდი სახალხო**

# სეირნობა-კონცერტი

სხვადასხვა გასართობებით: საბავშო სიმღერები, სათამაშოები, ბურთაობა, დედოფალა და სხვა. ფანდურა, თარი, მესტვირე და ბოლოს ქართლ-კახური სიმღერები: ურმული, ზამთარი, კახური, ფერხული, ცანგალა და რაჭული სიმღერები.

დასაწყისი ბავშვებისათვის 5 საათიდან, მოზრდილთათვის 7 საათიდან. 25 პროც. გადაიდება 4-ხე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბსის ასარგებლოთ.

**გუნდი იქნება გამოწყობილი გლეხურად.** გამგე **ნიკო კავხაძე.** (2—2)

---

კვირას, 28 ივლისს, რევოლიუციის მოედანზე ნაძალადევში გაიმართება სადღესასწაულო საღამო პირველი რაიონის

# მუშათა კლუბისა

**პროგრამა:** —1) ლექცია: რუსულათ და ქართულათ წაიკითხვენ მანშენზონი და თალაკვაძე.—2) მოხსენება კულტურულ განმანათლებელი კომისიისა.—3) მილოცვები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან.—4) სინემატოგრაფი. ანტრაქტების დროს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. — შესასვლელი ფასი 1 მან. (2—2)

---

# თფილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება

**1 აგვისტოდან** ცენტრალურ სახ. უნივერსიტეტთან (მიხეილის ქ. № 91) იხსნება

# კურსები ადგილობრივ თვითმართველობაზე

კურსები გაგრძელდება 2—2 ნახ. თვემდე. ფასი კურსებისა 25 მან. მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ სახ. უნივერსიტეტის კანცელარიაში ყოველ დღე 10—2 საათამდე დილით და 6—8 ს. საღ. (3—3)

---

# ქალაქის თვითმართველობა

აუწყებს მოქალაქეებს, რომ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათთა ბაზარი, ტელეფონი № 39) გაიხსნა სადგური, სადაც სწარმოებს ხოლერის **საწინააღმდეგო აცრა უფასოთ** 1-ლ საათ. 3 საათ. კვირა-უქმე დღეების გარდა (3—3)

---

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**


მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახ. № 1.